სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 16 ივნისი 2005 №134 (2457) ფასი 50 თეთრი



ბაფანა ჯეიმსონის ფოტო

სარბიელის გამოკითხვით საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი გახდა!



ანდრეა ჯეიმსონის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი კი ლევან მელქაძე!

ქართული ფეხბურთი გაფრინდება

მწუხრის ოპტიმისტური დასასრული

ლევან კობიაშვილს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი „სარბიელის“ მთავარმა რედაქტორმა ილია ბაბუნაშვილმა გადასცა



საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ლევან მელქაძე

გასართობ კლუბ „ბერიკონში“ ქართული საფეხბურთო საზოგადოება შეიკრიბა, ღონისძიებას მრავალი არასაფეხბურთო სტუმარიც დაესწრო და გასული სეზონის ლაურეატების დაჯილდოებაც მოეწყო.

ამ საღამოზე, რომლის წამყვანები ნანა კალატოზიშვილი და ზურაბ ყიფშიძე იყვნენ, „სარბიელის“ ტრადიციული გამოკითხვის შედეგები გამოცხადდა — საქართველოს და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელები — ლევან კობიაშვილი და ლევან მელქაძე — მათ მადლობა გადაუხადეს „სარბიელს“ და გამოკითხვაში მონაწილე ყველა ჟურნალისტს, კობიაშვილს პრიზი „სარბიელის“ მთავარმა რედაქტორმა ილია ბაბუნაშვილმა გადასცა.

„ბერიკონში“ გვამცნეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ ჩატარებული ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგებიც: საუკეთესო მეკარე — ზვიად სტურა („ტორპედო“/„ლოკომოტივი“); საუკეთესო მცველი — რევაზ ქემოკლიძე („თბილისი“); საუკეთესო ნახევარმცველი — დავით ოდიკაძე („თბილისი“/„დინამო“); საუკეთესო თავდამსხმელი და ბომბარდირი — ლევან მელქაძე („დინამო“); საუკეთესო მწვრთნელი — ნოდარ აკობია („ლოკომოტივი“), საუკეთესო მსაჯი — ლევან ფანიაშვილი; სეზონის აღმოჩენა — გიორგი განუგრავა („ზესტაფონი“).

ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის პრიზები გადაეცათ ტელეკომპანიებს — „რუსთავი 2“, „იმედი“ და „პირველი სტერეო“.

„საუკეთესო საფარის“ პრიზი წილად ხვდა აგრონომ ლევან ცხოვრებაშვილს, ხოლო კომპიუტერული თამაში „ჩვენი ფეხბურთი“ დავით ხარჩილავამ მოიგო და ფულად ჯილდოსაც დაესაკუთრა.

კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა საპატიო სიგელი უბოძა „კოკა-კოლას“, „ჯეოსელს“ და „საქართველოს ბანკს“ ქართული ფეხბურთის დახმარებისთვის.

საღამოზე საბოლოო სიტყვა კინორეჟისორ ელდარ შენგელაიასი იყო: „ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში თითქოს იმედი ჩაქრა, მაგრამ სიახლეებმა იმედი კვლავ გააჩინა. მივესალმები უმცროსი ნოდარ ახალკაცის შეხედულებებს, რამაც დამარწმუნა, რომ ქართული ფეხბურთი აღმა-აღმა იცლის და გაფრინდება“.

ლუკა თალაკვაძე

ბადრი კეთილაძის *ფოტოები*

საუკეთესო მეკარე ზვიად სტურუა სერგო კოტრიკაძემ დააჯილდოვა

საუკეთესო ნახევარმცველი დავით ოდიკაძე



სარბიელის გამოკითხვა

ალექსანდრე იაშვილის მერე ლევან კობიაშვილი ზედიზედ მეორე „გერმანელი“ ქართველია, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი რომ გახდა. „სარბიელის“ ყოველწლიურ, ტრადიციულ გამოკითხვაში 51-მა სპორტულმა ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა და ამათგან 50-მა კობიაშვილი სამეულში დაასახელა, აქედან 28-მ კი პირველი ადგილი არგუნა გელზენკირხენის „შალკეს“ ქართველ ნახევარმცველს. საბოლოოდ, ლევანმა 202 ქულა დააგროვა და 18 ქულით აჯობა მოსკოვის ლოკომოტიველ მალხაზ ასათიანს.

უფრო დაძაბული გამოდგა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვა — დინამოელმა ლევან მელქაძემ ოდენ 9 ქულით გაუსწრო აწ ყოფილ ლოკომოტიველ ზვიად სტურუას.





სარბიელის წინა თორმეტი გამოკითხვის გამარჯვებულები

1992-93	გიორგი ქინქლაძე	1998-99	ზაზა ჯანაშია
1993-94	შოთა არველაძე	1999-00	ლევან კობიაშვილი
1994-95	აკაკი დევაძე	2000-01	კახა კალაძე
1995-96	გიორგი ქინქლაძე	2001-02	კახა კალაძე
1996-97	თემურ ქეცბაია	2002-03	კახა კალაძე
1997-98	შოთა არველაძე	2003-04	ალექსანდრე იაშვილი

საქართველოს 2004-05 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

				I	II	III	ქულა
1	ლევან	კობიაშვილი	შალკე (გერმანია)	28	20	2	202
2	მალხაზ	ასათიანი	ლოკომოტივი (რუსეთი)	21	25	4	184
3	კახა	კალაძე	მილანი (იტალია)		3	20	29
4	თემურ	ქეცბაია	ანართოსისი (კვიპროსი)	1		5	10
5	შოთა	არველაძე	რეინჯერსი (შოტლანდია)		1	6	9
6	ოთარ	ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი (გერმანია)			2	2
7	გოგიტა	გოგუა	თბილისი/ ხიმკი (რუსეთი)			1	1
	ვიტალი	დარასელია	ალანია (რუსეთი)			1	1
	აკაკი	დევაძე	თბილისი/ სპარტაკი			1	1
	გიორგი	დემეტრაძე	მ. დონეცკი (უკრაინა)			1	1
	ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი (გერმანია)			1	1
	ზვიად	სტურუა	ტორპედო/ ლოკომოტივი			1	1
	რევაზ	ქემოკლიძე	თბილისი			1	1
	ზურაბ	ხიზანიშვილი	რეინჯერსი (შოტლანდია)			1	1

საქართველოს XVI ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

				I	II	III	ქულა
1	ლევან	მელქაძე	დინამო	16	9	6	113
2	ზვიად	სტურუა	ტორპედო/ ლოკომოტივი	12	12	8	104
3	დავით	ოდიკაძე	თბილისი/ დინამო	11	10	11	96
4	გიორგი	მეგრელაძე	ტორპედო	1	4	5	22
5	გიორგი	განუგრავა	ზესტაფონი	1	3	2	16
6	ირაკლი	ზოიძე	დინამო	2			10
	გიორგი	ნემსაძე	დინამო	2			10
	რევაზ	ქემოკლიძე	თბილისი	1	1	2	10
9	გოგიტა	გოგუა	თბილისი/ ხიმკი (რუსეთი)	1	1	1	9
	ჯაბა	კანკავა	დინამო/ ალანია (რუსეთი)		3		9
	დავით	გამეზარდაშვილი	ტორპედო		2	3	9
12	ზურაბ	იონანიძე	ზესტაფონი	1		1	6
13	ირაკლი	სირბილაძე	ლოკომოტივი	1			5
	მიხეილ	ბობოხიძე	ლოკომოტივი		1	2	5
15	გოგი	ფიფია	თბილისი		1	1	4
16	შოთა	ბაბუნაშვილი	ტორპედო/დინამო			2	2
17	მირზა	მერლანი	ტორპედო			1	1
	ლევან	სილაგაძე	დინამო			1	1
	კახა	ჩხეტიანი	ზესტაფონი			1	1

მიხეილ აბაიშვილი	24 საათი
ილია ბაბუნაშვილი	სარბიელი
დავით ბაკურაძე	ინტერ-პრესი
ელენე ბილიხოძე	პირველი რადიო
თამაზ ბოკერია	იმედი
პაატა ბურჯალიანი	პფლ-ის პრესსამსახური
ლაშა გოდუაძე	24 საათი
გიგა გვენცაძე	იმედი
აკაკი გვიმრაძე	რეზონანსი
გიორგი გულბანი	პირველი არხი
გიორგი დარჯანია	სარბიელი
ლაშა დვალიშვილი	მზე
მიხეილ დუმბაძე	მზე
დავით ერაძე	რუსთავი 2
გიორგი ვაშაკიძე	სარბიელი
ლაშა თაბაგარი	მსოფლიო სპორტი
დავით თავართქილაძე	სარბიელი
კობა ინასარიძე	სარბიელი
ფრიდონ კერვალიშვილი	ახალი ვერსია
სოსო კოტორეიშვილი	uefa.com
მერაბ მამულაძვილი	სპორტი
დიმიტრი მარინაშვილი	რადიო იმედი
დავით მინაშვილი	პირველი არხი
გივი მომცელიძე	სპორტი
ალექსი მჭედლიშვილი	ხვალინდელი დღე
ილია ნანობაშვილი	სარბიელი
მამუკა ნაცვალაძე	მსოფლიო სპორტი
გიორგი ნოზაძე	ოლიმპი
დიმიტრი ობოლაძე	რუსთავი 2
თენგიზ პაჭკორია	იტარ-ტასი
გია პლატონიშვილი	საქართველოს რესპუბლიკა
მიხეილ საბახტარაშვილი	ლელო
ლევან სალუქვაძე	სფფ-ის პრესსამსახური
ბაჩო სვანიძე	ალია
აკა ტონია	24 საათი
გია ტუხაშვილი	სპორტი
დავით ყენია	ოლიმპი
კახა შალამბერიძე	სარბიელი
რატი შელეგია	კვირის პალიტრა
რევაზ შენგელია	სფფ
დავით ცაბაძე	სპორტი
სანდრო ცნობილაძე	იმედი
ლაშა ნიკლაური	11x11
ზაზა წულაძე	PAPRESS
ჯემალ ქიპაშვილი	სპორტი
ვაჟა ხუციშვილი	სარბიელი
მარი ჯავახიშვილი	ფეხბურთი
ლევან ჯანეზაშვილი	ოლიმპი
თემურ ჯაფარიძე	—
ალექსანდრე ჯიბლაძე	იმედი
მიხეილ ჯორბენაძე	პირველი სტერეო

საქართველოს 2004-05 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

ასათიანი	კალაძე	კობიაშვილი
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	სტურუა
კობიაშვილი	ასათიანი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	ხიზანიშვილი
კობიაშვილი	ასათიანი	კალაძე
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
კობიაშვილი	კალაძე	ასათიანი
კობიაშვილი	ასათიანი	არველაძე
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
კობიაშვილი	—	
კობიაშვილი	არველაძე	ასათიანი
კობიაშვილი	ასათიანი	დარასელია
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	
კობიაშვილი	ასათიანი	კალაძე
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	გოგუა
—	კობიაშვილი	ასათიანი
კობიაშვილი	ასათიანი	ქეცბაია
კობიაშვილი	ასათიანი	კალაძე
ქეცბაია	კობიაშვილი	ასათიანი
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	ქემოკლიძე
კობიაშვილი	ასათიანი	არველაძე
ასათიანი	კობიაშვილი	დემეტრაძე
კობიაშვილი	ასათიანი	არველაძე
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	ქეცბაია
ასათიანი	კობიაშვილი	ქეცბაია
ასათიანი	კობიაშვილი	არველაძე
კობიაშვილი	ასათიანი	არველაძე
ასათიანი	კობიაშვილი	ხიზანეიშვილი
ასათიანი	კობიაშვილი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	არველაძე
ასათიანი	კობიაშვილი	ქეცბაია
კობიაშვილი	ასათიანი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	—
კობიაშვილი	ასათიანი	ქეცბაია
კობიაშვილი	ასათიანი	კალაძე
კობიაშვილი	ასათიანი	იაშვილი
ასათიანი	კობიაშვილი	დევაძე
კობიაშვილი	ასათიანი	კალაძე
ასათიანი	კობიაშვილი	ხიზანეიშვილი
ასათიანი	—	—
კობიაშვილი	ასათიანი	კალაძე
ასათიანი	კალაძე	კობიაშვილი

საქართველოს XVI ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

ნემსაძე	კანკავა	მეგრელაძე
—		
სტურუა	გოგუა	ოდიკაძე
ოდიკაძე	სტურუა	მელქაძე
სტურუა	მელქაძე	განუგრავა
მელქაძე	ოდიკაძე	ქემოკლიძე
მელქაძე	მეგრელაძე	სტურუა
მელქაძე	სტურუა	ოდიკაძე
იონანიძე	განუგრავა	ჩხეტიანი
მელქაძე	მეგრელაძე	გოგუა
მელქაძე	სტურუა	მეგრელაძე
ოდიკაძე		
მელქაძე	ბობოხიძე	ოდიკაძე
მეგრელაძე	მელქაძე	ოდიკაძე
მელქაძე	სტურუა	ოდიკაძე
მელქაძე	მეგრელაძე	ოდიკაძე
ოდიკაძე	სტურუა	ბობოხიძე
მელქაძე	სტურუა	ოდიკაძე
სტურუა	განუგრავა	გამეზარდაშვილი
მელქაძე	ოდიკაძე	მეგრელაძე
ოდიკაძე	მელქაძე	სტურუა
ზოიძე	ქემოკლიძე	ოდიკაძე
ოდიკაძე	მელქაძე	სტურუა
ოდიკაძე	სტურუა	გამეზარდაშვილი
სტურუა	მელქაძე	იონანიძე
სტურუა	მელქაძე	ოდიკაძე
განუგრავა	მელქაძე	მერლანი
ქემოკლიძე	ოდიკაძე	ბაბუნაშვილი
მელქაძე	სტურუა	ოდიკაძე
გოგუა	გამეზარდაშვილი	სტურუა
სტურუა	ოდიკაძე	მელქაძე
მელქაძე	განუგრავა	სტურუა
ზოიძე	ოდიკაძე	სტურუა
—	-	-
მელქაძე	კანკავა	მეგრელაძე
სტურუა	ოდიკაძე	სილაგაძე
ოდიკაძე	სტურუა	მელქაძე
სტურუა	ოდიკაძე	ბაბუნაშვილი
სტურუა	ოდიკაძე	მელქაძე
სტურუა	მელქაძე	ქემოკლიძე
ოდიკაძე	სტურუა	მელქაძე
მელქაძე	ოდიკაძე	სტურუა
ოდიკაძე	სტურუა	გამეზარდაშვილი
ნემსაძე	კანკავა	ფიფია
ოდიკაძე	მეგრელაძე	სტურუა
სტურუა	ოდიკაძე	მელქაძე
მელქაძე	ფიფია	ბობოხიძე
სტურუა	გამეზარდაშვილი	ოდიკაძე
სირბილაძე	—	
მელქაძე	სტურუა	განუგრავა
ოდიკაძე	მელქაძე	მეგრელაძე

გერმანული გზები

ლევან კობიაშვილი: ვიფიქროთ საქართველოზე

ლევან კობიაშვილი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელია! ეს უკვე მეორედ, პირველად ხუთი წლის წინ იყო, მაშინ, როცა „ფრაიბურგში“ თამაშობდა. ახლა ლევანი გერმანული „შალკეს“ ფეხბურთელია და არ გადავაჭარბებთ, ბუნდესლიგაშიც ერთ-ერთი გამორჩეული. ეს სეზონი ლევან კობიაშვილისთვის მეორეობისა იყო. მისი გუნდი ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე გავიდა; „შალკემ“ წააგო გერმანიის თასის ფინალი; ჩვენიანი ბუნდესლიგელ ჰავბეკთა შორის, „კიკერის“ გამოკითხვით, მეორე იყო ბაიერნელი მიხაელ ბალაკის შემდეგ... მაგრამ ლევან კობიაშვილი ბოლომდე მეორედაც არ დარჩა, მისთვის ეს ჯაჭვი „სარბიელის“ გამოკითხვამ გაწყვიტა — გერმანიაში მეორე ახლა საქართველოში პირველია



ბადრი ჯღერენაის ფოტო

პრა[illegible] და პირველი გოლი

— ლევან, როგორც ყოველთვის, ისე დავიწყოთ...

— ველოდი თუ არა საუკეთესოდ დასახელებას?

— კარგად გხსომებია „სარბიელის“ ტრადიციული პირველი კითხვა.

— ეს ხომ ხუთი წლის წინაც იყო...

— მაშ გვიპასუხე...

— პირველობაში დარწმუნებული ვიყავიო, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს ამბავი არც მოულოდნელი იყო. წლეულს სულ მეორე ვიყავი — ბუნდესლიგაში, თასზე, „კიკერის“ გამოკითხვაში. ბედნიერი ვარ, რომ ერთი პირველი ადგილი მაინც მერგო.

— შენთვის რომ გვეკითხა, სამეულს როგორი თანმიმდევრობით ჩამოწერდი?

— ცოტა არ იყოს, მეუხერხულება ამ კითხვაზე პასუხი. სამეული და მათგან საუკეთესო ჩემი მეგობრებიდან უნდა ამერჩია და ვერავის ვაწყენინებდი. მხოლოდ ერთს ვიტყვი — ქართველი ფეხბურთელებისთვის ეს სეზონი საუკეთესო არ იყო.

— არც შენთვის?

— ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. კარიერაში ამ სეზონს წინაადგმულ ნაბიჯად ვთვლი.

— „სარბიელის“ პრიზი უკვე მეორედ დაიმსახურე. ამ ხუთ წელიწადში ფეხბურთელ კობიაშვილის ცხოვრებაში რა შეიცვალა?

— მაშინ „ფრაიბურგში“ ვთამაშობდი, ამბიციებს ვერ ვიკმაყოფილებდი და წარმატებებს დანატრებული ვიყავი. ახლა გაცილებით დიდ გუნდში ვარ და უკეთეს ფეხბურთელადაც ჩამოვყალიბდი, თუმც ძმავალში კიდევ უნდა მოვუმატო.

— ტიტულებს რომ შევეშვათ, კიდევ რით იყო ეს სეზონი შენთვის გამორჩეული?

— „შალკეს“ მაისურით გატანილი პირველი გოლით. შარშან მთელი სეზონი გოლს ველოდი, მაგრამ არ გამიმართლა, წლეულს კი ნავსი გავტეხე. საკუთარ თავზე ვერ ვიტყვი, ძალიან ძლიერი ფეხბურთელი ვარო, თუმც მიმაჩნია, რომ წინა სეზონის პირველ წრეში მართლაც კარგად ვითამაშე. დიდი მადლობა მათ, ვინც ეს დაინახა.

— და როგორ ფიქრობ, მხოლოდ წინა სეზონის პირველ წრეში კარგი თამაშისთვის დაგასახელეს საუკეთესო ფეხბურთელად?

— მხოლოდ პირველი წრისთვის არა, ალბათ, „შალკეში“ ჩატარებული მთელი სეზონისთვის, თორემ საქართველოს ნაკრებში არც კობიაშვილს, არც სხვას, თავი არაფრით გამოუჩენია. შესარჩევი ციკლი კარგად კი დავიწყეთ, მაგრამ... განვლილ სეზონს მხოლოდ ნაკრებით თუ შევაფასებთ, საუკეთესობას არ ვიმსახურებდი.

შალკე და ცხოვრება

— წლეულს რომელი იყო შენი საუკეთესო თამაში?

— დაუფიქრებლად გეტყვი — ბუნდესლიგაში შინ „ბაიერნთან“, როცა 1:0 მოვიგეთ და ასევე შინ „შტუტგარტთან“. ზოგადად „ჯ, „შალკეში“ ჩატარებული ყველა შეხვედრა ჩემთვის თავისებურად გამორჩეული იყო. ეგაა, საქართველოს ნაკრების წარუმატებლობამ დამწყვიტა გული, ძალიან ცუდი შედეგი გვაქვს. უშანსოდ დავრჩით.

— როგორია ლევან კობიაშვილის ერთი ჩვეულებრივი გერმანული დღე?

— ჩვეულებრივი. რვა საათზე ვიღვიძებ და ვარჯიშზე მივდივარ. საქმე ისაა, რომ დიუსელდორფში ვცხოვრობ და გელზენკირხენამდე ვზას ნახევარ საათს ვანდომებ. ათის ნახევარზე უკვე ბაზაზე ვარ, 10-ზე ვარჯიშს ვიწყებთ და 12 საათისთვის შინ ვბრუნდები. მთელ დღეს ოჯახთან ერთად ვატარებ, ბავშვი სკოლიდან გამოგვყავს, საღამოობით ხან რომელიმე რესტორანს ვსტუმრობთ, ხან კინოში მივდივართ, ბილიარდს ვთამაშობთ...

— როცა ორი ვარჯიში გაქვს?

— ამ სეზონში დღეში ორჯერ არ გვივარჯიშია. ყოველ მესამე დღეს თამაში გვქონდა და მწვრთნელი ზედმეტ დატვირთვებს გვარიდებდა.

— თამაშისთვის როგორ ემზადებით?

— „ფრაიბურგისგან“ განსხვავებით „შალკე“ ყოველი მატჩის წინა დღეს სასტუმროში იკრიბება, ვვარჯიშობთ და ვერთობით. სწორედ ასეთი შეკრებების გამო კვირაში ორი-სამი დღე ოჯახს დაშორებული ვარ და ცოლ-შვილი ძალიან მენატრება ხოლმე. თამაშის წინ რაიმე განსაკუთრებული სამზადისი არ გვაქვს.

— ბუნდესლიგის სხვა კლუბებისგან „შალკეს“ ცხოვრება რით განსხვავდება?

— ქომაგებით და იმ სასტუმროთი, სადაც მატჩის წინ ვიკრიბებით. „შალკეს“ გერმანიაში მარილაც გამორჩეული ქომაგი ჰყავს და ამას ყველა, ჩვენი მოქიშპენიც

ბადრი ჯღერენაის ფოტო

კი ამბობენ. მაგალითად, როცა „ბაიერნთან“ თასის ფინალი წავაგეთ, გელზენკირხენში დაბრუნებულებს ისე დაგვხვდნენ, ვიფიქრე, თასი ჩვენ ხომ არ მოგვიგია-მეთქი. მთელი ქალაქი გუნდზეა გადაყოლილი, თამაშის დღეს გელზენკირხენში ფეხბურთის მეტი არაფერი აინტერესებთ. რა თქმა უნდა, სტადიონიც, თუნდაც მთლად უმნიშვნელო მატჩი გვქონდეს, სულ გადაჭედილია.

— სასტუმროზე რა უნდა გეთქვა?

— ის, რომ სასტუმრო ჩვენი სავარჯიშო მოედნიდან ერთი საათის გზაზეა. წარმოიდგინეთ, თამაშის წინ ვვარჯიშობთ და მერე ერთი საათი გზაში ვართ, თამაშზე მივდივართ და კიდევ ამხელა გზაა. ადრე, ოცი წლის წინ, როცა „შალკე“ ძალიან გაჭირვებული გუნდი იყო, გაკოტრების პირას მისული, თურმე ამ სასტუმროს მფლობელები ეხმარებოდნენ გუნდს და თავისთან აცხოვრებდნენ. ჰოდა, ახლა „შალკეს“ ხელმძღვანელობას სხვა სასტუმროს გაგონებაც არ სურს და მადლიერების ნიშნად გუნდს ამ სასტუმროში აცხოვრებენ. ჩვენ, ფეხბურთელები კი უკმაყოფილონი ვართ, როგორია, კვირაში ორ-სამჯერ აქეთ-იქით ორ საათს ვმგზავრობთ.

სეზონი: მეთხუთმეტედან მეორემდე

— ლევან, გული არ გწყდება, რომ ჩემპიონობა ვერ შეძელით?

— პირიქით, მეორე ადგილით ყველანი კმაყოფილები ვართ. რა თქმა უნდა, გულის სიღრმეში კი ვნანობთ, ჩემპიონობამდე ახლოს რომ ვიყავით და ეს შანსი ბოლო ტურებში დავკარგეთ, მაგრამ ამისთვის ჩვენ არავინ გვსაყვედურობს. სეზონის დასაწყისში ვერავინ წარმოიდგენდა, ჩემპიონთა ლიგის საგზურს თუ მოვიპოვებდით. „შალკე“ ხომ საწყისი ხუთი-ექვსი ტურის შემდეგ გასავარდნთა ზონაში, მეთხუთმეტე ადგილზე იყო.

— მაგრამ მერე ახალი მწვრთნელი მოვიდა...

— იუპ ჰაინკესი ძლიერი სპეციალისტია, მაგრამ „შალკეში“ არ გაუმართლა. ხდება ხოლმე, როცა მწვრთნელსა და გუნდს ერთმანეთის არ ესმით, „შალკე“ ჰაინკესს ვერ შეეწყო. რალფ რანგნიკის მოსვლით კი გუნდში ყველაფერი შეიცვალა, ფეხბურთელებთან ურთიერთობით დაწყებული, სათამაშო ტაქტიკით დამთავრებული. ჰაინკესის დროს ფეხბურთელები შებოჭილნი იყვნენ, შიშის ფაქტორიც იყო, ვითუ, ახლა შევცდე, მერე ძირითადში ადგილს დავკარგავო. რანგნიკმა ფეხბურთელებს ეს კომპლექსი მოუხსნა, თავისუფლება ვიგრძენით და თავდაჯერებით ავთამაშდით.

— რანგნიკის გუნდში მოსვლა, ალბათ, პირადად შენთვისაც სასარგებლო იყო...

— ჰაინკესისთვის მარცხენა მცველი ვიყავი და ვგრძნობდი, ისე ვერ ვთამაშობდი, როგორც შემეძლო, შეზღუდული ვიყავი. რანგნიკის მოსვლისთანავე კი ნახევარდაცვაში გადავინაცვლე და ამოვისუნთქე. სწორედ მარცხენა შუამარბის პოზიციაა ჩემთვის ზედგამოჭრილი და შარშანდელთან შედარებით, ალბათ, ამიტომაც ვთამაშობ უკეთესად.

ალტონის ორი ცხოვრება

— „შალკეში“ ვისთან მეგობრობ?

— ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, თუმც განსაკუთრებით ახლოს კრსტაიჩთან, ასამოასთან, ლინკოლნთან და ალტინტოპთან ვარ. შეკრებისას მთელ დღეს ერთად ვატარებთ, უქმე დღეებშიც ერთად ვსადილობთ, ვერთობით...

— ალტონი რაღაც უჟმური ვინმე ჩანს...

— არა, შესაძლოა, თამაშისას ასე ჩანდეს, მაგრამ მოედნის მიღმა ძალიან მხიარულია. მთელ გუნდს შემოიკრებს და ნაირნაირ სახუმარო ისტორიებს გვიყვება, მიბაძვის საოცარი უნარი აქვს. თამაშისას კი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, ოღონდ მან გაიტანოს და სხვა არც აინტერესებს.

— მიდის გუნდიდან?

— არ ვიცი, ისე კი, ამბობდა, სხვა გუნდში უნდა გადავიდეო, თუმც „შალკესთან“ ერთწლიანი კონტრაქტი კიდევ აქვს. რას გადაწყვეტენ კლუბის ხელმძღვანელები, ვერ გეტყვით. დღესდღეობით „შალკეს“ ამბებს მეც პრესიდან ვეცნობი.

ოჯახი ანუ მეორე ვარჯიში

— პატარა კობიაშვილი ფეხბურთელი უნდა გაიზარდოს?

— ნიკუშას, მგონი, მამაზე მეტად უყვარს ფეხბურთი. როცა ვარჯიშიდან შინ ვბრუნდები, მეორედ უკვე ნიკუშასთან ერთად ვვარჯიშობ. როცა ფეხბურთია, ტელევიზორს ვერ მოწყვეტ, ბურთთან ერთად ათენებს და აღამებს. ჯერ ექვსი წლისაა და საფეხბურთო სკოლა აღრეა, ერთ-ორ წელიწადში კი ფეხბურთზე აუცილებლად მივიყვან.

— სამზარეულოზე რას იტყვი, რომელი კერძები გიყვარს?

— იტალიური, შინ თუ რესტორანში, ყოველთვის იტალიურ კერძებს მივირთმევ. ჩემი მეულლე თამუნაც იტალიური კერძების მოყვარულია.

— სასმელები? როგორც ვიცი, „ფრაიბურგში“ კოკა-კოლას დალევა აკრძალული გქონდა.

— კი, ასე იყო და არც „შალკეში“ ეტანებიან ამ სასმელს. ნატურალურ წვენებს ვსვამ.

— ალკოჰოლურს?

— არა, ცხოვრებაში ერთხელ თუ ორჯერ დამილევია. ალკოჰოლი არ მსიამოვნებს.

— თბილისში ჩამოსული როგორ ერთობი?

— გასართობი დრო არ მაქვს. ოჯახი, ახლობელ-მეგობრები... როცა ჩამოვდივარ, საახალწლოდ და ზაფხულში, ყველას მოსაკითხი დრო არც მრჩება ხოლმე.

— ფეხბურთელ კობიაშვილს რამე თავისებური რიტუალი თუ აქვს?

— ამოჩემებული არაფერი მაქვს. რიტუალად იმას თუ ჩავთვლით, რომ ყოველი მატჩის წინ ტელეფონით ვესაუბრები თამუნასა და ნიკუშას.

ფიზიკა და მიზანი

— ლევან, როგორც ფეხბურთელს, რა ნაკლი გაქვს?

— ბევრი ნაკლი მაქვს. აბა, უნაკლო ფეხბურთელი გინახავს?! მაგალითად, მარჯვენა ფეხით ისე ვერ ვთამაშობ, როგორც მსურს, თავით თამაში მიჭირს... და მთავარი: კონკრეტულ მომენტში სიზუსტე მაკლია, რის გამოც ბევრი საგოლე მომენტი გამცუდებია. არადა, ნახევარმცველმა სეზონში შვიდი-რვა გოლი მაინც უნდა გაიტანოს.

— და რის ხარჯზეა კობიაშვილი ძლიერი ფეხბურთელი?

— ფიზიკური მომზადების და სწორად თამაშის ხარჯზე. შემიძლია, 90 წუთი წინ და უკან შეუჩერებლად ვირბინო და მწვრთნელის დავალება შევასრულო. ჩემს პლუსად ვთვლი იმასაც, რომ რამდენიმე პოზიციაზე შემიძლია თამაში — მარცხენა მცველად და ნახევარმცველად, ცენტრალურ და წინწაწეულ წაგვარმცველად, მიკლედ, სადაც გუნდს დავჭირდები.

— მაგრამ შენი ადგილი მარცხენა შუამარბის პოზიციაზეა...

— კი, ასეა. ჩემი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა ამ პოზიციაზე შემიძლია.

პროფესიონალი

— ცოტაც ნაკრებზე ვთქვათ...

— ამ თემაზე საუბარი ჩემთვის უსიამოვნოა, მაგრამ პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ნებისმიერ კითხვას უნდა ვუპასუხო. ჯერ იმას ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრები ნამდვილად არაა ამ დონის გუნდი, სამ თამაშში 11 გოლი მიიღოს, მით უმეტეს, როცა დაცვაში საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები გვყავს. ჩვენს უსახურ თამაშს ერთ ახსნას ვუძებნი — ფეხბურთელები ვერ ვთამაშობთ ისე, როგორც შეგვიძლია. ეტყობა, საერთო საქმეს ცოტ-ცოტას ვაკლებთ და უფრო პირადულზე ვფიქრობთ. თუმც საბერძნეთთან და თურქეთთან წაგების მიზეზები სხვაც იყო. მაგალითად, ბევრი ფეხბურთელი სხვადასხვა მიზეზის გამო სასურველ ფორმაში არ იყო. ყველაფერში მწვრთნელის დადანაშაულება არ შეიძლება. კი, გასაგებია, რომ არ გვაქვს მოედნები, ბურთები, სამოსი... მაგრამ არ შეიძლება გაუთავებლად ამაზე ლაპარაკი. ბევრ მაშინ ვიქნებით, როცა პირობების მიუხედავად შეძლებს მივაღწევთ. როცა ამას ვლაპარაკობ, პირველ ყოვლისა, ლევან კობიაშვილს, ვგულისხმობ და მერე სხვას.

— ალბათ არაერთხელ გსმენია: კალაძე „მილანში“ თამაშობს, კობიაშვილი „შალკეში“, არველაძე და ხიზანიშვილი „რეინჯერსში“, ანუ ცალ-ცალკე ნაკრების ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში ძლიერები არიანო. მაშ, ერთად შეკრებისას საუკეთესო თვისებებს რატომ ვერ ამჟღავნებთ?

— კი, მართალია, კალაძე „მილანშია“, კობიაშვილი „შალკეში“, ვვყავს რეინჯერსელები, ფრაიბურგელები, რუსეთის ჩემპიონები, მაგრამ... რაც უკვე გითხარით, იმას გავიმეორებ: ეტყობა, ჩვენს თავს ნაკრების შეკრებისას რაღაცას ვაკლებთ და გუნდურზე მეტად პირადულზე უფრო ვფიქრობთ. ესეც ალბათ, ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარეობს, პირადი ძიზანი მეტს ნიშნავს.

გმადლობთ!

— რას ნიშნავს შენთვის „სარბიელის“ პრიზი?

— ისევე, როგორც ყველა ფეხბურთელისთვის, თავის ქვეყანაში საუკეთესობა ჩემთვისაც დიდი ღირებულებაა. დიდი მადლობა ყველას, ვინც დამაფასა და ჩემი თამაში დაინახა. საუკეთესოდ დამასახელეს, ესე იგი, მენდობიან და ჩემი იმედი აქვთ, მით უმეტეს, ამ სეზონში, როცა ნაკრებში, ჩემი ჩათვლით არავის არაფერი გაუკეთებია და მაინც საუკეთესოდ დამასახელეს. ერთხელაც გმადლობთ და ვეცდები, ნაკრებში წლეულს დაკარგული გაისად ერთიორად ავანაზღაურო.

ძოგა ინასარიძე

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ალენ ჟირესს ეკითხება: რა კლასის მწვრთნელი ხართ?

გადრი კეთილაძის ფოტო

რა კლასის მწვრთნელი ხართ?

— რას ნიშნავს შენთვის ის, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს?

— ეს ჩემთვის ძალიან საპატიო წოდებაა და ამან დიდად გამახარა.

— როგორ ფიქრობ, შენი ასეთი აღიარებაც არ მოხიბლავს ალენ ჟირესს, ვისაც ეროვნულ ნაკრებში ერთხელაც არ მიუწვევიხარ?

— არ ვიცი, ისე, ჟირესი აქამდეც უნდა მოხიბლულიყო ჩემი შედეგებით, მე ხომ ამ ჩემპიონატის ბომბარდირიც გავხდი. ჟირესი ამბობს, საქართველოს ჩემპიონატში ის დონე არაა, რომ აქ მოთამაშე ფეხბურთელი ნაკრებში მივიწვიო, ნაკრებს სულ სხვა კლასის მოთამაშეები სჭირდებაო. თუ ჟირესს ჩვენი ჩემპიონატის ფეხბურთელის დონე არ აკმაყოფილებს, მაშინ ისიც გვითხრას, თვითონ რა კლასის მწვრთნელია? მწვრთნელს უფლება აქვს, ფეხბურთელი დაიწუნოს, მაგრამ როცა ამბობს, „დინამოს“ ფეხბურთელი უკლასოაო, ეს უკვე შეურაცხყოფაა. თბილისის „დინამოში“ უკლასო ფეხბურთელი არ არსებობს და „დინამოს“ გარდა საქართველოს ჩემპიონატში კიდევ არიან ფეხბურთელები, მაღალ დონეზე თამაში რომ შეუძლიათ.

— მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში არიან, ასე ვთქვათ, ტიპიურად საკლუბო ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთ კლუბებში საკმაოდ კარგად თამაშობენ, მათ საქვეყნოდ იცნობენ და აფასებენ, მაგრამ სანაკრებო კარიერა, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ...

— თუ ფეხბურთელი მაღალ დონეზე ატარებს სეზონს, იმის შიში არ უნდა ჰქონდეს, რომ ნაკრებში თამაშს ვერ შეძლებს. მოკლედ, საკუთარ თავს მხოლოდ საკლუბო ფეხბურთელად არ ვთვლი.

შეცდომა და მწვრთნელები

— არასდროს არ დაგიშვია შეცდომა? იქნებ, იტალიურ „სიენაში“ ყველაფერი კარგად რომ წაგსვლოდა, დღეს ეროვნული ნაკრების წამყვანი ფორვარდიც ყოფილიყავი...

— ეს ერთადერთი ავადგასახსენებელი შემთხვევაა ჩემს კარიერაში. როცა „ვიტ ჯორჯიადან“ სერია B-ში მიდიხარ, დიდი შანსი გეძლევა. „სიენაში“ პირველივე თამაშში წითელი ბარათი მივიღე და მწვრთნელიც მერე ალბათ ამის გამო აღარ მენდობოდა.

— „დინამოს“ დავუბრუნდეთ, სადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში სამ მწვრთნელთან მოგიწია მუშაობამ — როგორ დაახასიათებდი მოკლედ ამ პერიოდებს?

1995-96	ალგეთი	15	14
1996-97	თსუ 2	37	13
1997-98	თსუ 2	13	11
	თსუ 2	8	—
1998-99	დინამო	7	2
	დინამო	8	6
1999-00	თბილისი	13	16
	ვიტ ჯორჯია	5	1
1900-01	ვიტ ჯორჯია	28	14
1901-02	ვიტ ჯორჯია	12	6
	სიენა (იტალია)	1	—
1902-03	ვიტ ჯორჯია	30	21
1903-04	დინამო	22	6
1904-05	დინამო	31	27

— „ვიტ ჯორჯიადან“ „დინამოში“ ივო შუშაკის სურვილით გადავედი და მის ხელში თანამეგობრობის თასიც კი მოვიგეთ, რაც შუშაკს არ უნდა დავუკარგოთ. შუშაკის დროს სულ 4-4-2 სქემით ვთამაშობდით და რაიმე გარდაქმნები არ იყო, გია გეგუჩაძემ კი სულ სხვანაირი, უფრო შემტევი და რისკიანი ფეხბურთი გვათამაშა, გადაწყობა მხოლოდ მატჩიდან მატჩამდე კი არა, თამაშის დროსაც გვიწევდა. რაც შეეხება კახა ცხადაძეს, თუ რას წარმოადგენს ახლანდელი „დინამო“, ეს ყველაზე კარგად კარსმომდგარ ევროტურნირზე გამოჩნდება.

— შესაძლოა, ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა თექვსმეტამდე გაიზარდოს, რაც, სხვათა გარდა, უფრო მეტ ცუდ მინდორს, უფრო მეტ ცუდ გასახდელს და საშხაპესაც ნიშნავს — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელისთვის ასეთ ჩემპიონატში თამაში როგორი იქნება?

— თექვსმეტი გუნდიო, მაგალითად, რუსეთის ჩემპიონატის დონეს ვერ მივუახლოვდებით, მაგრამ როცა კლუბის წევრი ხარ, ან უნდა წახვიდე იქიდან, ან უნდა დარჩე და ითამაშო. ისე, თექვსმეტი გუნდი და ორი წრე ჯობია ათ გუნდს

„დინამო“ — „სლავია“ 2:0. ჩეხებს პირველი გოლი ლევან მელქაძემ გაუტანა



მელქაძეების ოჯახი: ლევანი, ნათია და ნიკუშა

გადრი კეთილაძის ფოტო

ლევან ჭელიძე ყველის, ვინ
ჩემს ჩვენებით იყო განსაკუთრებული
„სარბიელის“ ბიჭი ქვეყ
ეუსურვებ ყოველივე ნარჩ
ჭელიძე ყველა იმ ნიჭს,
ვინც ფიქრობს საუკეთ

ლ. ჟირესი

და ოთხ წრეს, რაც ერთობ დამღლელია ფეხბურთელისთვის.

საუკეთესო გოლები

— საქართველოდან მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში ვეღარ მიდიან ფეხბურთელები, ჩვენს მოთამაშეებს კარგი ბრენდი აღარ აქვთ. ვთქვათ, აზერბაიჯანში რომ მიგიწვიონ სათამაშოდ, კატეგორიულად იუარებდი?

— მატერიალური თვალსაზრისით აზერბაიჯანში თამაში ურიგო არაა, მაგრამ რეპუტაციისთვის არ ივარგებს, რომ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი იქ წავიდეს. მირჩევნია, ნაკლები ფული მომცენ და საშუალო ევროპულ გუნდში ვითამაშო.

— რა იქნება საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის მორიგი წარმატებული ნაბიჯი?

— კვლავ საუკეთესო ფეხბურთელობა და უკეთეს გუნდში გადასვლა, თუმცა მთავარი მაინც ბომბარდირობაა, მე ხომ თავდამსხმელი ვარ.

— შენი საუკეთესო გოლი?

— „სიენაში“ წასვლამდე „ვიტ ჯორჯიამ“ ქუთაისის „ტორპედოს“ 3:1 მოუგო და ირაკლი ზოიძეს მაგარი გოლი გავუტანე. კარგი ბურთი შევაგდე თავურით იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან 1998 წლის შესარჩევ ეტაპზეც და შარშან პრაღის „სლავიასთან“ თბილისში გატანილი გოლიც უნდა გამოვარჩიო — ის არ იყო ეფექტური, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი კი იყო.

— შენი ყველაზე დიდი გაწბილება?

— ის, რომ ეროვნულ ნაკრებში არ მიწვევენ.

არანაირი ახირება, მხოლოდ ოჯახი და დინამო

— ფეხბურთის თამაშის გარდა კარგად კიდევ რისი კეთება შეგიძლია?

— კალათბურთის თამაში. ბავშვობაში ექვსი თვე ვიარე კალათბურთზე, პარალელურად ფეხბურთზეც დავდიოდი და საბოლოოდ ყველაფერი ფეხბურთმა გადაწონა.

— თავისუფალ დროს სახლში ჯდომა ყველაფერს გირჩევნია?

— რაც დავოჯახდი და ნიკუშა გაგვიჩნდა, სახლი და ოჯახი — ასე ვატარებ თავისუფალ დროს და თუ სახლიდან გავდივარ, მაშინაც ოჯახთან ვარ. დაოჯახებულ კაცს სახლში ჯდომა არ უნდა ეთაკილებოდეს.

— გაქვს რაიმე ახირება ან ცრურწმენა?

— არანაირი, მხოლოდ რიტუალს ვასრულებ — გოლის გატანის შემდეგ ბეჭედს ვკოცნი და ხელს მაღლა აღვმართავ — რა თქმა უნდა, ჩემს ყველა გოლს მეუღლეს და ოჯახს ვუძღვნი.

— „დინამოს“ საშინაო მატჩებზე ცოტა გულშემატკივარი დადის — რას ეტყოდი მათ და კიდევ იმათ, ვინც აღარ დადის „დინამოს“ თამაშებზე?

— ქართველები დღესაც ამაყობენ თბილისის „დინამოთი“ და გულშემატკივარს ვთხოვ, ხშირად იარონ ჩვენს მატჩებზე, მათ წინაშე თამაშს სულ სხვა ხიბლი აქვს, ხოლო ვინც მოდის სტადიონზე, მათდამი მადლობის მეტი რა მეთქმის.

— შენ ვის დასახელებდი საქართველოს მე-16 ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად?

— დავით ოდიკაძეს ან გია მეგრელაძეს.

დავით თავართქილაძე



ვაა, ეტოო ჩამოვა?

გუშინ ლოკომოტივში ბარსელონელები ჩამოვიდნენ

გუშინ თბილისში ესპანური „ბარსელონას“ ბავშვთა გუნდის ორი მწვრთნელი ჩამოვიდა. ორიოდე კვირის წინ თბილისის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებმა თქვეს, დავით ყიფიანის სახელობის ბავშვთა სკოლას ვხსნით, რომელიც, დიდი შანსია, „ბარსელონას“ ტალანტების აღმოჩენის მსოფლიო პროგრამაში ჩაერთოსო.

და აი, ბარსელონელი მწვრთნელებიც ამიტომ ჩამოვიდნენ თბილისში. უფრო კონკრეტულად: ჟოზეფ გომბაო — „ბარსელონას“ ახალგაზრდული დეპარტამენტისა და ფარმ-კლუბის კოორდინატორი, არის კლუბის 1995 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდის მწვრთნელი და „ბარსას“ კამერუნელი ვარსკვლავის სამუელ ეტოოს კემპის დირექტორი. შესაძლოა, გომბაომ ეტოო თბილისშიც კი ჩამოიყვანოს და დავით ყიფიანის სკოლის ბავშვებს გააცნოს; იაგო აგილარი — „ბარსელონას“ მწვრთნელი და კოორდინატორი ბავშვთა ჯგუფებში. აგილარი სავარაუდოდ დავით ყიფიანის სახელობის სკოლის მთავარი მწვრთნელიც იქნება.

დღეს 16 საათზე კი კატალონიელი სტუმრები „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებთან ერთად „მიხეილ მესხის“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებს შეხვდებიან — ეს ინფორმაცია „ლოკომოტივის“ პრესატაშე გიორგი გურაბანიძემ მოგვაწოდა.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ „ლოკომოტივი“ შესაძლოა კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დატოვოს — ზურაბ ექონიას დამატება თელავის „კახეთს“ სურს.

ილია ნანოგაფშვილი

ჟორჟიკაშვილი იტალიით იწყებს

3-8 ივლისს იტალიის ქალაქ ლინიანოში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 1988-89 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრებიც, რომელსაც კობა ჟორჟიკაშვილი წვრთნის.

საქართველოს ნაკრების გარდა ფეხბურთელთა ტურნირში იტალიის, შვეიცარიის, ირლანდიის, ფინეთის და ლიტვის ნაკრებებიც ითამაშებენ.

საქართველოს ნაკრები პირველ მატჩს 4 ივლისს, თბილისის დროით 19 საათზე შვეიცარიელებთან ჩაატარებს.

ლუკა თალაკვაძე

მერაბ ძოძუაშვილი: დონე მარტო ფულით არ იზომება

ქართველი ფეხბურთელების აზერბაიჯანულ კლუბებში წასვლა კარგია თუ ცუდი, ამის განსჯა იოლია. სამწუხაროდ, საქმე ისეა, ევროპის ერთ-ერთ უსუსტეს საფეხბურთო ქვეყანაში არა ვეტერანები, არამედ საქართველოს ჩემპიონატის ასე თუ ისე ცნობილი მოთამაშეებიც მიდიან. მათ შორისაა 24 წლის ფორვარდი მერაბ ძოძუაშვილიც. იგი ზამთარში გადავიდა „ბაკიში“, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა და შეცვლებზეც იშვიათად უწევდა თამაში. ძოძუაშვილი ამჟამად მშობლიურ ქუთაისშია და არაა გამორიცხული, საქართველოში გააგრძელოს კარიერა...

— „ბაკიში“ საქმეები ვერ აგეწყო და საბოლოოდ ხომ არ წამოხვედი გუნდიდან?

— არა, ხვალ-ზეგ ისევ ჩავალ ბაქოში. შეიძლება, დავრჩე, შეიძლება, წამოვიდე. გააჩნია, პრობლემები თუ მოვაგვარე...

— რა პრობლემებზე ლაპარაკობ?

— კლუბის პრეზიდენტს არ მოვწონდი, ახლაც არ მიყურებს კარგი თვალით და ბოლოს და ბოლოს უნდა გავარკვიო, უნდა თუ არა ჩემი გუნდში დატოვება. ისე, კონტრაქტით კიდევ 6 თვე უნდა ვიყო „ბაკიში“.

— პრეზიდენტთან უთანხმოების ბრალია, რომ არ გათამაშებდნენ?

— ალბათ, აბა, სხვა რას დავაბრალო, არ ვიცი. მწვრთნელს მოვწონდი, კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჩემთან.

— შენი თანაგუნდელი ალეკო გოგობერიშვილი როგორ თამაშობდა?

— ალეკო სულ ძირითადში იყო, ყველას მოსწონდა, როგორც ვიცი, მას კონტრაქტი დაუმთავრდა და რჩება თუ მოდის, არ ვიცი.

— ხომ არ შეადარებდი აზერბაიჯანის და საქართველოს ჩემპიონატებს...

— ვთვლი, რომ საქართველოს ჩემპიონატი უკეთესია. აზერბაიჯანში სულ ხუთი გუნდი თამაშობს ფეხბურთს, ერთი ნორმალური სტადიონი აქვთ და ეგ არის. მაგალითად, რომ ფული აქვთ, იმდენი საქართველოში რომ იყოს, ძალიან ძლიერი ჩემპიონატი გვექნებოდა. ისე ყიდულობენ ლეგიონერებს, თითქოს არაფერი, მაგრამ მარტო ფულით ხომ არ იზომება დონე.

— ფეხბურთში მოტრიალე ბიზნესმენებს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევისგან შეღავათები აქვთო...

— ასეა. თანაც, რაც აზერბაიჯანში ნავთობია, ფული რატომ არ ექნებათ?!

— „ბაკი“ ერთ-ერთი უმდიდრესი გუნდია აზერბაიჯანში?

— კი, „ბაკი“ იგივეა, რაც ჩვენში „დინამო“. ადრე ამ კლუბს ბაქოს „დინამო“ ერქვა, მილიციის გუნდი იყო.

— აზერბაიჯანის ჩემპიონატს მაღალ შეფასებას არ აძლევ, ესე იგი, საქართველოში თამაში გინდა.

— უფრო აქ მირჩევნია, მაგალითად, ვნახოთ, ჯერ „ბაკიში“ უნდა გავარკვიო, რას მიპირებენ. საქართველოში არც ერთი კლუბი არ შეხმიანებია, მეც არსად მაკლია-ვარ.

— როგორც შევიტყვეთ, ქუთაისის „ტორპედოს“ სურს შენი აყვანა...

— ჯერ ვერაფერს ვიტყვი, კონტაქტი არავისთან მქონია.

ილია ნანოგაფშვილი

მერაბ ძოძუაშვილი (მარჯვნივ) აზერბაიჯანიდან დაბრუნდა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ბოლონია ფარინამ დაფარა

„ბოლონიას“ პლეი აუტის პირველ მატჩში ალბანელი იგლი ტარეს (მარჯვნივ) ერთადერთმა გოლმა გაამარჯვებინა

იტალია

სერია A. პლეი აუტი
პირველი მატჩი
პარმა 0:1 ბოლონია

0:1 ტარე (18)

პარმა: ს. ფრეი, ბ. კანავარო, კარდონე, ბოვო, პიზანუ, ოლივე (დესენა 73), სავი (გრელა 61), სიმპლისიო, ი. კამარა, ბრეშიანო, რუოპოლო

მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი

ბოლონია: პალიუკა, გამბერინი, ტორიზი (ლეგროტალიე 36), ნასტასე, ნერვო, ჯ. ამორუზო (ლ. კოლუჩი 82), ჯუნტი, კაპუანო, მეგნი (ლოკატელი 46), ბელუჩი, ტარე

მწვრთნელი: კარლო მაცონე

გაფრთხილება: ჯუნტი, სავი, პიზანუ, გრელა, ნერვო, სიმპლისიო, კარდონე

გაძევება: კამარა (90), ლოკატელი (90), ბუჩი („პარმას“ მეკარე სათადარიგო სკამიდან 90), კარლო მაცონე („ბოლონიას“ მწვრთნელი 90), პიეტრო კარმინიანი („პარმას“ მწვრთნელი 90)

მაყურებელი: ფარინა

24 796 მაყურებელი

როგორც მოსალოდნელი იყო, „ენიო ტარდინიზე“ ძალიან ნერვიული მატჩი გაიმართა. დაძაბულობამ კულმინაციას მსაჯის დამატებულ წუთებზე უწია, როდესაც ფაბიო სიმპლისიოსა და თომას ლოკატელის შელაპარაკებას საყოველთაო არეულობა მოჰყვა. შედეგად, ორივე გუნდის მწვრთნელმა და სათადარიგოთა სკამზე მყოფმა პარმელმა მეკარემ ლუკა ბუჩიმ წითელი ბარათები მიიღეს. შესაბამისად, ისინი საპასუხო შეხვედრას ტრიბუნებიდან თუ უცქერენ.

გითხარით, მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. ყველაფერი მე-18 წუთზე გადაწყდა, როდესაც ვალენტინ ნასტასეს ჩაწოდებულ ბურთს პოლონელია ალბანელმა იგლი ტარემ თავი შეაგება. ძირითადი შემადგენლობის 8 ფეხბურთელის გარეშე მყოფმა „პარმამ“ ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერით მეტოქეს წინააღმდეგობა გაუწია და უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ გოლი ვერა და ვერ გაიტანა.

მასპინძლები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ სტეფანო ფარინას მსაჯობით, რომელსაც მატჩის სადავეები აშკარად გაექცა ხელიდან. მან სამჯერ საკამათო ეპიზოდში „ბოლონიას“ პენალტი არ დანიშნა.

პარმელთაგან განსაკუთრებით მარკო ბრეშიანო და ფაბიო სიმპლისიო აქტიურობდნენ. ამ უკანასკნელს მატჩის გადარჩენა ბოლო წუთებზე შეეძლო, მაგრამ 7 მეტრიდან ბურთი კარში ვერ შეაგდო.

საბოლოო ჯამში პიეტრო კარმინიანის გუნდი ურთულეს სიტუაციაში ჩავარდა, თუმც საპასუხო მატჩში „პარმას“ ალბერტო ჯილარდინო, დომენიკო მორფეო, დანიელე ბონერა, ფაბიო ვინიაროლი, მატეო კონტინი და ხორხე ბოლანო დაუბრუნდებიან. სამაგიეროდ, არ იქნება დისკვალიფიცირებული ანდრეა პიზანუ, ხოლო მარკო მარკიონისა და კრისტიან სორენტინოს კვლავ ტრავმები აქვთ.

„მესმის, რომ ასეთი მატჩის მსაჯობა ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ მთელი სეზონის მანძილზეც საკმარისად დავიჩაგრეთ და ხალხი დაიღალა უსამართლობით. იმედია, წამყვანი მოთამაშეების დაბრუნება საპასუხო შეხვედრის მოგებაში დაგვეხმარება“ — თქვა „პარმას“ სპორტულმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ.

გიორგი ძაძაბაძე

არგენტინელი ვალტერ სამუელი „ინტერში“ გადავიდა

ვინ, სად, როდის...

გუშინდელი იტალიური მიდი-მოდი

1 ივნისის გაიხსნა ევროპაში ზაფხულის სატრანსფერო სეზონი, რომლის ბოლო დღეც 31 აგვისტოა.

ჰოდა, რა გასაკვირია, ევროპულ მედიაში გავრცელებული არაერთი სიახლის შესახებ შევიტყვეთ.

ასე მაგალითად, გუშინდელმა დღემ იტალიური საფეხბურთო სამყარო ცნობებმა, რომ იტყვიან წალეკა და ჩვენაც ამ ზღვა ინფორმაციების შეჯერება ანუ თავმოყრა გადავწყვიტეთ. მივყვეთ თანმიმდევრობით:

ჩემპიონ ტურინის „იუვენტუსის“ რიგები დატოვა ფრანგმა ნახევარმცველმა ოლივიე კაპომ, ფეხბურთელი ერთი წლით იჯარის წესით „მონაკოში“ გადავიდა.

ფლორენციის „ფიორენტინამ“ ნახევარმცველი მარკო დონადელი გადაიბირა და კონტრაქტი 2008 წლამდე გაუფორმა. დონადელი „იებმა“ „მილანს“ წაჰგვარეს, რომელსაც იგი გასულ სეზონში გენუის „სამპდორიაში“ ჰყავდა განათხოვრებული.

მილანის „ინტერმა“ სანტიაგო სოლარის შემდეგ, კიდევ ერთი არგენტინელი ჩაიყვანა „სან სიროზე“ — მადრიდის „რეალმა“ ცენტრალური მცველი ვალტერ სამუელი ერთი წლით ათხოვა მასიმო მორატის გუნდს.

„მილანის“ ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ კატეგორიული უარი შეუთვალა, გმადლობთ შემოთავაზებისთვის, მაგრამ მე „მილანში“ თავს ჩინებულად ვგრძნობ. ხოლო „მილანს“ ლიდერმა, უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ, ვიდრე დასასვენებლად გაემგზავრებოდა, ჟურნალისტებს უთხრა, ძალიან მოხარული ვიქნები, ახალი სეზონიდან ალბერტო ჯილარდინოს მხარდამხარ თუ მოიწევს თამაშიო.

სერია A-ს ბომბარდირ კრისტიანო ლუკარელის „ლივორნოს“ დატოვება გადაუწყვეტია. მიზეზად კი „სკუადრა აძურაში“ თამაშის სურვილი მოჰყავს, გრანდებში რომ ვიყო, ნაკრების მწვრთნელი მარჩელო ლიპი უფრო მომაქცევს ყურადღებასო. ლუკარელის „ფიორენტინაში“ ან „ლაციოში“ გადასვლა უნდა.

„რომა“ სავარაუდოდ, ბულგარელ ნახევარმცველ ივიცა ილიევს დაიმატებს, გავრცელებული ცნობით, ბულგარელმა დედაქალაქურ კლუბში ბრაზილიელი გარემარბი ამანტინო მანსინი უნდა შეცვალოს. მოგეხსენებათ, მანსინი, როგორც იტყვიან, „ჩემოდნებზე ზის“, მას „ინტერი“, კერძოდ კი მწვრთნელი რობერტო მანჩინი ეპატიჟება.

ბოლოს კი ანტონიო კასანოზეც ვთქვათ. მოგეხსენებათ, „რომას“ თავდამსხმელის შეძენა ძალიან სურს „იუვენტუსს“. გუშინ „იუვეს“ სატრანსფერო საქმეთა გურუმ ლუჩანო მოჯიმ „ჯალოროსის“ ხელმძღვანელობას ოფიციალური წინადადებით მიმართა — 11 მილიონი ევრო, მარსელო ზალაიეტა და ფაბრიციო მიკოლი თქვენ და ლაპარაკს მოერჩეთო. „რომას“ პასუხი უცნობია.

მოჯიმ ასეთივე წინადადებით მიმართა ლონდონის „არსენალის“ შეფობასაც — იგორ ტუდორი, სტეფან აპია, მანუელე ბლაზი, ნიკოლა ლეგროტალიე და, რა თქმა უნდა, ფული თქვენ, სანაცვლოდ კი სოლ კემპბელი და პატრიკ ვიეირა დამითმეთო. „რომასი“ არ იყოს, „არსენალიც“ ჯერჯერობით დუმს.

გიორგი ვაშაკიძე

ვან პერსი დაუჭერიათ

არსენალელს ქალი მოსდომებია



რობინ ვან პერსის დასვენების მაგივრად, სასამართლოში მოუწევს სირბილი

„არსენალის“ ჰოლანდიელი ფეხბურთელი რობინ ვან პერსი თავის სამშობლოში დააპატიმრეს გაუპატიურების საჩივრით. ეს ამბავი უქმეებზე მომხდარა როტერდამში, მომხდარა და პროკურორს მედიისთვის უთქვამს, სამ დღეში ყველაფერი გაირკვევა, ვან პერსის ან გამოუშვებენ, ან ბრალდებას წაუყენებენო.

თუმცა, ყველაფერი მოსამართლეზეა დამოკიდებული, ეგებ პატიმრობა ორ კვირასაც გაგრძელდეს, ხოლო თუ ფეხბურთელს გაუპატიურება დაუმტკიცდა, 12-წლიანი ციხე ელოდება.

რობინ ვან პერსის ვექილმა აბრაამ მოსკოვიჩმა განაცხადა, რომ ფეხბურთელი სრულიად უდანაშაულოა და ციხე არ ემუქრება.

ირაკლი გამყრელიძე

ძენგა სამშობლოში ბრუნდება

ხომ გახსოვთ ვალტერ ძენგა? 90-იანი წლების მიჯნაზე „სკუადრა აძურას“ მეკარე.

მას შემდეგ, რაც ძენგამ მოთამაშის კარიერა დაასრულა, მან სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი, ტრამპლინად კი ამერიკული მეიჯორ სოკერ ლიგა გამოიყენა — „ბოსტონ რევოლუშიონი“ ჩაიბარა.

მერე უსახელო ამერიკული გუნდიდან ცოტა ხნით ასევე უსახელო „ბრერაში“, იქიდან კი რუმინეთს მიაშურა და არც მეტი, არც ნაკლები, ამ ქვეყნის უტიტულოვანეს „სტიაუაში“ მიიწვიეს სამუშაოდ.

ბუქარესტული კლუბი ვალტერ ძენგამ ამ ზამთარს დატოვა, კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო.

წერილის სათაურში სამშობლო ტყუილად არ გვიხსენებია — დიახ, ვალტერ ძენგა ახლა იტალიაშია, კერძოდ ვერონაში და იქაური „კიევოს“ შეფობას ელაპარაკება. „კიევო“, გუნდიდან მაურიციო დანჯელოს წასვლის შემდეგ უმწვრთნელოდაა და ძენგაც ამად გაიხსენა.

გიორგი ვაშაკიძე



ლიბერტადორესის თასი 2005

მეოთხელფინალი. პირველი მატჩი

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 0:0 გვადალახარა (მექსიკა)

ᲤᲘᲤᲐᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ 2005
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. 15–29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ
Ბ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ — ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝ ᲢᲧᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲠᲑᲘᲡ



AFP ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲓᲐᲜ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ — ᲘᲡᲘᲜᲘ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲨᲘ დაბანაკებული ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა მოძალებულ ტრავმიანობას უჩივის, თუმც იხტიბარს არ იტეხს და პენტაკამპეონებს კონფედერაციის თასის მოსაგებად ქოქავს.

დღეს ლაიპციგში გასამართ მატჩში, შესაძლოა, ვერ ითამაშოს „ბარსელონასა“ და სელესაოს მარჯვენა მცველმა ჟულიანო ბელეტიმ, რომელსაც ფეხი დაუზიანებია და სავარჯიშო მოედნის ნაცვლად, ექიმის კაბინეტში ატარებს დროს. შევნიშნოთ, რომ პარეირამ გერმანიაში არ წაიყვანა ნაკრების კაპიტანი და ძირითადი მარჯვენაფლანგელი კაფუ. ამიტომაცაა მწვრთნელი ბელეტის შესაძლო უთამაშებლობას მეტად რომ შეუშფოთებია.

სულ სხვა საწუხარი შეჰყრია ბრაზილიელთა ვარსკვლავ რონალდინიოს. საქმე ისაა, რომ პენტაკამპეონები ლევერკუზენის გარეუბანში, მყუდრო ალაგას მდგარ სასტუმროში შესახლდნენ, რაც რონის ძალიან არ მოსწონებია: „აქ სიჩუმე და სიმშვიდეა, ამიტომაც მოვიწყინეთ, სჯობს სასტუმრო გამოვიცვალოთ“. პარეირა კი სხვაგვარად ფიქრობს — „ჩინებული ალაგია. შეგიძლია მშვიდად იმუშავო. გაისად, მუნდიალის დღეებშიც აქ დავიდებთ ბინას“.

ახლა ბერძენთა ბანაკშიც შევიხედოთ. გუშინწინ ოტო რეჰაგელის გუნდს შეუერთდა კაპიტანი თეოდოროს ზაგორაკისი, რომლის კონფედერაციის თასზე თამაში საეჭვო იყო — სერია **A**-ში დასარჩენად მებრძოლი „ბოლონია“ არ უშვებდა. თუმც ბოლოს იტალიელებმა დათმეს და ზაგორაკისიც გერმანიაში გაისტუმრეს.

კაპიტნის შემატებით გამოწვეული სიხარული ბერძნებს ესპანური „სელტას“ თავდამსხმელის, ზისის ვრიზასის ნახვით ჩამწარდათ. საქმე ისაა, რომ ვრიზასს ხელი მოუხეტია და ელინთა ბანაკს თაბაშირდადებული ეწვია.

ᲡᲝᲤᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ — ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ



AFP ᲯᲐᲜᲝᲕᲠᲘᲓᲐᲜ

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲰᲘᲓᲔᲢᲝᲨᲘ ᲜᲐᲞᲐᲢᲐᲐ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲗ)

ᲚᲐᲕᲝᲚᲞᲔᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲗᲘᲮᲔᲚᲓᲐ

1999 ᲬᲚᲘᲡ კონფედერაციის თასის გამარჯვებულ მექსიკის მიზანი ამჯერადაც მაქსიმუმის მიღწევაა. ჩრდილოამერიკელთა არგენტინელ თავკაც რიკარდო ლავოლპეს თქმით, მისი გუნდი აპირებს, რაც შეიძლება შორს წავიდეს და კრიტიკოსები დაადუმოს.

საინტერესოა, რომ ბოლო დროს ლავოლპეს მართლაც მოუმრავლდნენ კრიტიკოსები. არადა, მექსიკამ თითქმის გაინაღდა მუნდიალის საგზური და გასული წლის ივლისის მერე არ დამარცხებულა.

მექსიკა ძირითადი შემადგენლობის ხუთ ფეხბურთელს მოისაკლისებს — ომარ ბრავო, ალბერტო მედინა, რამონი და ხოსე დე ხესუსი „გვადალახარას“ რიგებში ლიბერტადორესის თასზე თამაშობენ და კონფედერაციის თასისთვის არ სცალიათ. კვატემოკ ბლანკომ კი მაისში დასვენება ითხოვა და დაბრუნებას ჯერ არ აპირებს.

„ეს ტურნირი მოსამზადებლად ძალიან მნიშვნელოვანია და მაღალი კლასის გუნდებთან საკუთარი თავის გამოცდის საშუალებას მოგვცემს. იაპონიასთან მოსაგებად ვითამაშებთ, მაგრამ მეტოქე საკმაოდ ძლიერია, თანაც პირველი მატჩი ყოველთვის [illegible] ლია“ — თქვა ლავოლპემ.

რაც შეეხება იაპონიას, ზიკოს [illegible] ბმა უკვე დაიბეჭდა მსოფლიოს [illegible] ტზე მონაწილეობა და ეს ტურნირი [illegible] ვისაც გენერალური რეპეტიცია [illegible]

აზიელები სამ წამყვან მოთამაშ[illegible] ნჯი ონოს, ნაოჰირო ტაკაჰარას [illegible] ნაკაზავას — ვერ დაიხმარენ მაი [illegible] სერიოზული ტრავმები აქვთ და [illegible] ტურნირს გამოტოვებენ.

„ჩვენ აზიაში ძლერები ვართ და [illegible] სერიოზული გუნდი გვყავს, მაგრამ [illegible] ფეხბურთის გიგანტებამდე ჯერ კიდევ [illegible] გვიკლია და ეს ტურნირი ჩინეთი [illegible] ლებაა კლასის ასამაღლებლად. უ[illegible] ქსიკელებთან კი სამი ქულისთვის [illegible] თამაშოთ, თუ ჯგუფიდან გასვლა [illegible] — თქვა იაპონიის ნარების ტექნიკური [illegible] ტორმა და ამ ქვეყნის ყველა [illegible] თესო ბომბარდირმა კუროშიგუ [illegible]

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 2005 ᲬᲚᲘᲡ 20-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ. 10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ — 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ, ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘ ᲣᲙᲐᲜ
ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲛᲑᲠᲘᲧᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲠᲘᲧᲕᲔᲡ

B ᲯᲒᲣᲤᲘ. II ᲢᲣᲠᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ 3:2 ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

�პᲐᲜᲐᲛᲐ 0:1 ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ჩინეთი	2	2	0	0	5:3	6
უკრაინა	2	1	0	1	5:4	3
თურქეთი	2	1	0	1	2:2	3
პანამა	2	0	0	2	1:4	0

C ᲯᲒᲣᲤᲘ. II ᲢᲣᲠᲘ

ᲛᲐᲠᲝᲙᲝ 5:0 ᲰᲝᲜᲓᲣᲠᲐᲡᲘ

ᲩᲘᲚᲔ 0:7 ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

ესპანეთი	2	2	0	0	10:1	6
მაროკო	2	1	0	1	6:3	3
ჩილე	2	1	0	1	7:7	3
ჰონდურასი	2	0	0	2	0:12	0

D ᲯᲒᲣᲤᲘ. II ᲢᲣᲠᲘ

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔ 0:2 ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ

ᲐᲨᲨ 0:0 ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

გერმანია	2	1	1	0	2:0	4
აშშ	2	1	1	0	1:0	4
არგენტინა	2	1	0	1	2:1	3
ეგვიპტე	2	0	0	2	0:4	0

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ახალგაზრდული ჩემპიონატი ისევე საინტერესოდ, უხვგოლიანად და სენსაციურად გრძელდება, როგორაც დაიწყო. ჩატარდა **B**, **C** და **D** ჯგუფების მეორე ტურის მატჩები და პირველი მერვედფინალისტის ვინაობაც გაირკვა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს ჩინეთის ნაკრებია, რომელსაც თითქმის ყველა აუტსაიდერად თვლიდა.

უკრაინისა და ჩინეთის მატჩი ისე დაიწყო, ბევრი იფიქრებდა, ალექსეი მიხაილიჩენკოს შეგირდები აზიელებს ყველაფერს პირველ ტაიმში მოუმთავრებენო. ეს ვარაუდი მე-19 წუთზე უფრო გამყარდა, როდესაც ევროპელებმა სრული სათამაშო უპირატესობა გოლში გარდასახეს. თუმც ჩინელები გონს მალე მოვიდნენ, წონასწორობა 12 წუთში აღადგინეს და ტაიმის ბოლოს უკეთაც გამოიყურებოდნენ.

ყველაფერი მეორე ნახევარში, კერძოდ კი ათწუთიან მონაკვეთში გადაწყდა — 66-ე წუთზე ჩინმა პენალტით ჩინეთი დაწინაურა. აქედან სამ წუთში ხელით თამაშისთვის მინდვრიდან უკრაინის კარში პირველი გოლის გამტანი ძუ ტინგი დაითხოვეს და თერთმეტმეტრიანითაც „დაასაჩუქრეს“, რომელიც ზუსტად ალიევმა დაარტყა და ტურნირში თავისი მესამე ბურთი შეაგდო.

თითქოს ამას აზიელები საბოლოოდ უნდა გაეტეხა, მაგრამ 75-ე წუთზე ჩენ ტაოს კუთხურს ჩუი პენგი დაუხვდა და გამარჯვების გოლი შეაგდო.

„ძალიან ვამაყობ ჩემი გუნდის თამაშით და ასეთ დაძაბულ ბრძოლაში მიღწეული გამარჯვებით. ეს დიდი შრომის შედეგია“ — თქვა ჩინელთა გერმანელმა თავკაცმა ერკხარდ კრაუცუნმა.

ჩინეთთან წაგების შემდეგ, სერიოზულად გადახალისებულმა თურქეთის ნაკრებმა კი ბევრად უკეთ იბურთავა, მაგრამ პანამის ძლევა მაინც გაუჭირდა. შენოლ უშტაომერის შეგირდებმა გულეკის კინკილა გოლით იმარჯვეს და ახლა მეორეადგილოსნის ვინაობას უკრაინასთან შეხვედრაში გაარკვევენ.

ესპანეთის ნაკრებმა კი კიდევ ერთი ბრწყინვალე სანახაობა შემოგვთავაზა და ზუსტად ისე დაიბრიყვა ჩილე, როგორაც სამხრეთამერიკელებმა პირველ ტურში ჰონდურასი დაიბრიყვეს. ამ მატჩის გარდამტეხ მომენტად 43-ე წუთი უნდა მივიჩნიოთ, როდესაც ჩილე ბარას გაგდების შემდეგ 10 კაცით დარჩა. ამ დროისთვის ანგარიში 1:0 იყო, მეორე ტაიმში კი პირინელებმა მეტოქე გააცამტვერეს.

ინაკი საესის გუნდი მართლაც ძალიან მიმზიდველად თამაშობს და მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასევე აღვნიშნოთ ფერნანდო ლორენტეს პოკერი. „ბილბაოს“ 20 წლის ფორვარდს უკვე 5 გოლი მოუგროვდა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად გვევლინება. ამ მატჩში დუბლის ავტორ სილვას ანგარიშზე კი სამი ბურთია.

AFP ᲓᲘᲓᲘᲔᲠᲘᲡᲗᲐᲜ

ᲠᲐᲣᲚ ᲐᲚᲑᲘᲝᲚᲘᲡ (№6) ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲛᲐ ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲝ ᲞᲐᲠᲐᲓᲐᲡ ᲩᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲐᲠᲐ

ჰონდურასი, რომელიც სხვების ფონზე აშკარად სუსტად გამოიყურება, კიდევ ერთხელ განადგურდა. მარკომ მეტოქეს ხუთი გოლი აკმარა. აფრიკელთა ფორვარდებმა, იაჯოურმა და ბენჯელუნმა დუბლები გაიფორმეს.

ჩაიხლართა სიტუაცია **D** ჯგუფში. შედარებით მომგებიან პოზიციაშია აშშ, რომელიც ბოლო ტურში აუტსაიდერ ეგვიპტეს ხვდება, ხოლო არგენტინას და გერმანიას ურთიერთობის გარკვევა მოუწევთ და დიდი შანსია, ერთ-ერთი მათგანი მოულოდნელად ადრე ჩამოშორდეს ჩემპიონატს.

ამერიკელებმა არგენტინის ძლევის შემდეგ, გერმანიასაც გაუძღვეს და სასურველ ფრეს მიაღწიეს. ევროპელების მთელი მატჩის მანძილზე გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

არგენტინამ ლეო მესის მეორე ტაიმის პირველ და პაბლო ზაბალეტას ბოლო წუთზე გატანილი გოლებით ეგვიპტე დაამარცხა, თუმც სამხრეთამერიკელების თამაში კვლავ ინდებურად არც ისე დამაჯერებელი იყო.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

ბოლ!

მაინც რა ხალხია ეს თავდამსხმელები?

ენდი როქსბურგმა თავდამსხმელები თავისებურად შეაფასა

დასაწყისი წინა „სარბიელში“

როგორი უნდა იყოს თანამედროვე თავდამსხმელი?

აი, რას ამბობს უეფას ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგი:

„ის დრო, როდესაც მწვრთნელს შეეძლო გუნდში ჰყოლოდა თავდამსხმელი ერთი მთავარი პლუსით, წარსულს ჩაბარდა. დღევანდელ ფორვარდს, რომელიღაც გამორჩეული ილეთი შესაძლოა, ჰქონდეს, მაგრამ მის გარდა წარმატების მისაღწევად საკმაოდ ბევრი თვისების განვითარება სჭირდება.

ხოლო თუ მაინც და მაინც ერთ თვისებაზეა ლაპარაკი, მაშინ სასურველია, ეს თვისება სისწრაფე იყოს. დიახ, სქემები, სადაც შედეგი შედარებით ნელ გარჯას მოაქვს, ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ თანამედროვე, მეტად და მეტად სწრაფ თამაშში, მეტოქის დაცვის გასარღვევად ყველაზე საიმედო გზა ჩქარი თავდამსხმელის ყოლაა.

თუ მცველები წინ მოდიან, ესე იგი ზურგსუკან აუცილებლად ტოვებენ სივრცეებს, რომელშიც ბურთით შეკარდნაც შეიძლება და პასის მიღებაც. ამიტომაა, მაიკლ ოუენის სტილის ფეხბურთელებს საგოლე მომენტის შესაქმნელად მაინც და მაინც კართან ახლოს დგომა რომ არ სჭირდებათ.

თუ მცველები თავდამსხმელთან დისტანციას იჭერენ (რაც სწრაფი თავდამსხმელის წინააღმდეგ ძველებურად საუკეთეო მეთოდია), მაშინ სწრაფი ფორვარდი მცველთა ხაზის წინ წარმოქმნილი სივრცით ისარგებლებს, რისი მაგალითიც გახლავთ ტიერი ანრის გოლი „ინტერის“ კარში, რომელიც არსენალმა ფრანგმა 2003 წლის ნოემბერში გაიტანა.

მეტოქე ფორვარდის სისწრაფე ძალიან უსიამოვნოა იმ გუნდისთვის, რომელიც მჭიდრო პერსონალურ მეურვეობას მისდევს. ასეთ დროს ნებისმიერი მცველი შეიძლება მოტყუვდეს და თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ გაექცეს, ხოლო თუ სწრაფი თავდამსხმელის გუნდს მოწინააღმდეგე ცენტრს იქით გადადენის, გამოვა, რომ მეტოქეს კონტრშეტევაზე იწვევს. ასეთი, კონტრშეტევი თავდამსხმელის ძალიან კარგი მაგალითია ანდრეი შევჩენკო.

კიდევ კარგ თავდამსხმელს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დარტყმაც უნდა ჰქონდეს. ამის მაგალითია მაიკლ ოუენის გარბენა მარჯვნივ, რომელსაც მარჯვენა ფეხითვე აგვირგვინებს — მეკარის გასწვრივ არტყამს. ყველაფერს კი დარტყმის სიზუსტე სჯობს.

რონალდინიოს მიერ „სტემფორდ ბრიჯზე“, „ჩელსის“ კარში გატანილმა გოლმა კი ის ადამიანები გააწუმა, რომლებიც დიდ ფეხბურთში ფუტზალისა და მინიფეხბურთის ტიპის დარტყმებს ზერელედ უყურებდნენ. სჩვეთაშორის, რონალდინიომ თავის ამდაგვარ გოლებს რომარიოსებური გოლები უწოდა, რითაც კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ რომარიო ძალიან დიდი თავდამსხმელია.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ტაქტიკას და განლაგებას მოძრაობა სჭირდება. პასიური დგომით თავდამსხმელი პერსონალურ მეურვეს ვერ ჩამოიშორებს, მაგრამ თავდამსხმელებს, ბუნებრივია, თავიანთი ტაქტიკური პრობლემებიც აქვთ. კერძოდ, იდეალური იქნებოდა, გუნდები ტაქტიკას ფორვარდის თარგზე რომ ჭრიდნენ, მაგრამ პრაქტიკა, განსაკუთრებით ევროპული, გვაჩვენებს, რომ ასე არ ხდება. მეტწილად გუნდები წყვილი თავდამსხმელით თამაშობენ, თუმცა არის სამთავდამსხმელიანი სქემებიც, რომლის მონაწილე ფროვარდებს თავისუფლება შეზღუდული აქვთ. ეს ლოგიკურია, ვინაიდან სამი ფორვარდი ვალდებულია მკაცრ სათამაშო დისციპლინას დაემორჩილოს.

ერთი თავდამსხმელი უფრო გაჭირვების ტალკვესია, ვიდრე მეგოლე. მისი მთავარი ამოცანაა ბურთი მიიღოს, შეიმაგროს, სანამ მორბენალი ნახევარმცველები შეტევის მიმართულებით მომგებიანი პოზიციებისკენ გავარდებიან და პასი გაუგდოს. ასეთ ფორვარდს უპირველეს ყოვლისა, დიდი ღონე სჭირდება, რათა ზურგსუკან მცველები დააბას. მასვე სჭირდება კარგი ტექნიკა, რათა ბურთი ფეხზე მიიმაგროს.

ასეთი თამაში ჩინებულად ეხერხება რუუდ ვან ნისტელროის, მაგრამ ზოგადად ეს ფრიად უმადური საქმეა, ვინაიდან ამ ტიპის ფორვარდს შეიძლება სულაც არ შეექმნას ბევრი საგოლე მომენტი და შესაბამისად, ბომბარდირობითაც ვერ დაიკვეხნოს.

ხოლო, რაც შეეხება ორ ფორვარდიან სქემას, იგი რა თქმა უნდა, მეტი მოძრაობის საშუალებასაც იძლევა და პარტნიორებიც ხშირად ცვლიან პოზიციებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ხშირია არაერთგვაროვანი წყვილი ანუ მოძრავი, სწრაფი და ღონიერი დარტყმით გამორჩეული ფორვარდების ფუტი.

შემტევი ფუტების ცვლაში ერთმანეთთან მუდმივ კონტაქტში უნდა იყვნენ. საუკეთესოთა შორის საუკეთესოები ტელეპატიური კავშირით გამოირჩევიან.

კრისტიან ვიერი რონალდოს შესახებ (ისინი „ინტერში“ თამაშობდნენ ერთად):

„ყოველთვის ვიცოდი, სად იყო ის და მანაც ყოველთვის იცოდა, სად ვარ მე“.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარტნიორებს ერთმანეთის საყვარელი პოზიციები ზედმიწევნით კარგად ჰქონდათ შესწავლილი.

ახლა კი ასეთი კითხვა: თავდამსხმელი ეგოისტი უნდა იყოს?

თავის დროზე, როდესაც „ჰსვ ეინდჰოვენში“ მყოფ მატეა კეუმანს მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა სთხოვა, გუნდურ თამაშს უკელიო, მან 35 გოლი შეაგდო.

„რონალდო რომ ჩამოვიდა, ჩვენ ცხადია, მისი სისწრაფის გათვალისწინება მოგვიხდა და ამიტომ მე მოედნის სიღრმეში შევედი. შესაბამისად, რონალდოს ბექების პასებზე შესავარდნად სივრცე გამოუწნდა“ — ამბობს „რეალის“ კაპიტანი რაული.

მეორე მხრივ კი საერთო ტენდენციის თანახმად, საჯარიმო მოედნის ფორვარდების ეპოქა კიდის და წინა პლანზე გუნდური მოთამაშეები გამოდიან. მაგალითი: სამუელ ეტოო. იგი კომბინაციის დასაწყისშიც არის და ბოლოშიც“

და ისევ ენდი როქსბურგი: „საუკეთესო ბომბარდირებს გოლების რაოდენობით სჯიან, ამიტომ მაინ ეგბერელესი საბრუნავი დაცვის გადალვევა და კარში დარტყმაა. მაკარამ იმავდროულად, მათ კომბინაციის შექმნაშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა. თუ ფორვარდს ეს არ შეუძლია, როგორ უნდა მოერგოს იგი თანამედროვე ფეხბურთის სურათს?“

ჟურნალი CHAMPIONS

მაიკლ ოუენი

ანდრეი შევჩენკო



ტიერი ანრი



რონალდინიო



რუუდ ვან ნისტელროი

სარგებელი 5 კრიკი

წარმოგიდგენთ

სხვა სპორტის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია B						
		16 ივნისი						
22:30	290	ასკოლი-ტორინო	2.40	2.60	3.30	1.24	1.38	1.45
22:30	291	ტრევიზო-პერუჯა	2.50	2.60	3.00	1.27	1.36	1.39
		18 ივნისი						
22:30	292	ტრიესტინა-ვიჩენცა	1.95	2.80	4.30	1.14	1.34	1.69
		პოლონეთი პლეი ოფი						
		16 ივნისი						
22:00	319	ვიძევი-ოდრა	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		18 ივნისი						
18:00	50	ვოლერენგა-ვიკინგი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
19 ივნისი								
20:00	53	ტრომსიო-ლინი	2.40	3.30	2.70	1.38	1.27	1.48
20:00	52	მოლდე-ფრედრიკსტადი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
20:00	54	ალესუნდი-სტარტი	2.95	3.10	2.30	1.51	1.29	1.32
20:00	55	ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი	2.55	3.20	2.60	1.41	1.28	1.43
22:15	56	ბრანი-რუსენბორგი	2.70	3.20	2.40	1.46	1.27	1.37
20:00	51	ჰამარი-ოდ გრენლანდი	2.00	3.30	3.40	1.24	1.25	1.67
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		19 ივნისი						
20:00	58	ბრინი-ლოვ ჰამი	1.25	5.80	8.00	1.02	1.08	3.36
20:00	63	ტონსბერგი-სოგნდალი	2.70	4.00	2.00	1.61	1.14	1.33
20:00	62	სტრიომსგოდსეტი-ჰიოდი	1.70	3.70	3.60	1.16	1.15	1.82
20:00	61	პორს გრენლანდი-ფოლო	1.50	3.90	5.50	1.08	1.17	2.28
20:00	57	ალტა-კონგსვინგერი	2.35	3.90	2.40	1.46	1.18	1.48
20:00	59	ჰიონეფოსი-სანდეფიორდი	2.55	3.80	2.20	1.52	1.18	1.39
20:00	60	მოსი-მანდალი	1.85	3.80	3.30	1.24	1.18	1.76
		20 ივნისი						
21:00	64	სტაბეკი-სკეიდი	1.30	5.00	7.50	1.03	1.10	3.00
		შვედეთი. ალსვენსკა						
		16 ივნისი						
21:00	71	ლანდსკრონა-კალმარი	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
21:00	73	ასირიანსკა-ქელსინგბორგი	3.40	3.30	2.00	1.67	1.25	1.24
21:00	72	გიოტებორგი-სუნდსვალი	1.55	3.50	5.60	1.07	1.21	2.15
22:00	74	მალმიო-იურგორდენი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
		შვედეთი. სუპერეტა						
		16 ივნისი						
21:00	83	ნორჩიოპინგი-იორეებრო	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
		17 ივნისი						
21:00	84	დეგერფორსი-აბვიდაბერგი	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
		ფინეთი						
		16 ივნისი						
20:00	97	მიუპა-ალიანსი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
		ისლანდია						
		16 ივნისი						
23:15	107	გრინდავიკი-რეიკიავიკი	2.60	3.00	2.45	1.39	1.26	1.34
23:15	106	ფილკირი-ფრამი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
23:15	108	თროტერი-ვესტმანაეიარი	2.55	3.10	2.50	1.39	1.26	1.38
		ირლანდია						
		17 ივნისი						
23:00	112	შელბურნი-შემროკი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
22:45	110	ბრეი-კორკი	3.80	3.20	1.80	1.73	1.22	1.15
22:45	111	დროგედა-დუბლინი	1.75	3.20	4.00	1.13	1.21	1.77

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 ივნისი						
22:30	113	ლონგფორდი-დერი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
22:45	114	პერპსი-უოტერფორდი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
		აშშ						
		18 ივნისი						
23:45	123	დალასი-ლოს ანჯელესი	1.95	3.10	3.40	1.19	1.23	1.62
23:45	125	სან ხოსე-სოლტ ლეიკი	1.30	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
23:45	124	ჩიკასი-კოლორადო	2.40	3.00	2.60	1.33	1.24	1.39
23:45	122	ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი	2.75	3.10	2.30	1.45	1.25	1.32
23:45	121	ნიუ იორკი-კოლამბუსი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
23:45	120	ჩიკაგო-კანზასი	2.00	3.00	3.30	1.20	1.24	1.57
		ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები.						
		16 ივნისი						
21:30	239	შვედეთი-სორვეკია	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		მჩ. შესარჩევი მატჩები						
		18 ივნისი						
17:00	162	კენია-მაროკო	4.00	3.30	1.80	1.80	1.24	1.46
18:30	167	გაბონი-რუანდა	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
17:30	166	უგანდა-კაპე ვერდე	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
19:00	168	ნიგერია-ანგოლა	1.35	4.00	7.50	1.00	1.14	2.60
17:00	163	მალავი-ბოტსვანა	2.10	3.10	3.30	1.25	1.28	1.59
17:00	164	ზამბია-მალი	1.65	3.40	4.75	1.11	1.22	1.98
17:30	165	სამხრეთ აფრიკა-განა	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
21:00	169	სენეგალი-ტოგო	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
22:00	170	ბურკინა ფასო-დრ კონგო	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
		19 ივნისი						
20:00	172	ლიბერია-კონგო	2.15	3.00	3.20	1.25	1.28	1.54
23:30	174	ალჟირი-ზიმბაბვე	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
18:30	171	კამერუნი-ლიბია	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
20:00	173	კოტ დიუარი-ეგვიპტე	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
		კონფედერაციის თასი						
		16 ივნისი						
20:00	177	იაპონია-მექსიკა	2.90	3.00	2.20	1.47	1.25	1.26
22:45	178	ბრაზილია-საბერძნეთი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.[illegible]
		ნორვეგია. თასი						
		16 ივნისი						
20:00	218	ლოვ ჰამი-ბრანი	10.00	5.50	1.20	3.54	1.07	1.[illegible]
		ლიბერტადორესის თასი						
		16 ივნისი						
23:45	266	რივერ პლეიტი-ბასუელდი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
		ჩოგბურთი. კაცები. როზმალენი. ბალახი.						
		16 ივნისი						
14:00	323	ბიორკმანი-ბენეტო			1.50			2.2[illegible]
14:00	324	ფილიპოუსისი-გარსია ლოპესი			1.20			3.[illegible]
14:00	322	ანანი-არტურსი			1.50			2.20
14:00	325	შალკენი-სანჯინეტი			1.55			2.10
		კალათბურთი. NBA 16 ივნისი						
23:45	320	დეტროიტი-სან ანტონიო	1.65	12.00	2.20	1.45	1.00	1.85
		კალათბურთი. იტალია						
		16 ივნისი						
22:15	236	მილანი-ბოლონია	1.50	12.00	2.30	1.33	1.00	1.93
		კალათბურთი. ესპანეთი						
		17 ივნისი						
21:00	321	ტაუ-რეალი	1.45	12.00	2.50	1.29	1.00	2.06

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12177	იაპონია-მექსიკა	1.90	1.70
12178	ბრაზილია-საბერძნეთი	2.00	1.60

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

	I-ში	თანაბრად	II-ში
15177 იაპონია-მექსიკა	3.00	2.80	2.00
15178 ბრაზილია-საბერძნეთი	3.00	2.80	2.00

ლუდი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუდად)

		ლუდი	კენტი
17177	იაპონია-მექსიკა	1.85	1.95
17178	ბრაზილია-საბერძნეთი	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანი დაგებულად ჩაითვლება)

14177	იაპონია-მექსიკა	2.00	1.65
14178	ბრაზილია-საბერძნეთი	1.20	2.60

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11177 იაპონია-მექსიკა	4.50	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.10
11178 ბრაზილია-საბერძნეთი	1.80	12.00	25.00	3.50	4.50	10.00	20.00	9.00	9.00

შრეს გარეშე (ძირ დრო)

16177	იაპონია-მექსიკა	2.00	1.55
16178	ბრაზილია-საბერძნეთი	1.15	3.45

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13177	იაპონია-მექსიკა	1.90	1.70
13178	ბრაზილია-საბერძნეთი	1.90	1.70

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10177	იაპონია-მექსიკა	3.60	2.00	2.55	1.28	1.49	1.12
10178	ბრაზილია-საბერძნეთი	1.70	2.30	6.00	1.00	1.32	1.66

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

მეხუთე და სამართალი

დღეს ბოისას და მარკოიშვილის ბედი წყდება

დღეს „ოლიმპიას“ ბედი წყდება. მანუჩარ მარკოიშვილსა და ვლადიმერ ბოისას გუნდი სლოვენიის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში იბრძვის, სადაც საქმე მეხუთე გადამწყვეტ მატჩამდეა მისული. „ოლიმპია“ ორჯერ ლიდერობდა, მაგრამ „სლოვანმა“ ორჯერვე გაუთანაბრა და თანაც ისე იოლად, ნეიტრალური ქომაგი უპირატესობას სწორედ „სლოვანს“ მიანიჭებს. თუმც „ოლიმპიას“ უმთავრესი კოზირი უპყრია — გადამწყვეტი ჯახი მის სარბიელზეა. სერიის ბოლო მატჩის ბომბარდირი ვლადიმერ ბოისა გახდა, რომელმაც 28 ქულა უთავაზა „სლოვანს“, თუმც ჯობდა, ამის მეოთხედი ჩაეგდო და მის გუნდს ამ შეხვედრასთან ერთად ჩემპიონობაც მოეგო



ვლადიმერ ბოისა

მაშრაბ დულუბავას ფოტო

— თავი მოვიკალი, წელებ'ზე ფეხი დავიდგი, მაგრამ საქმეს მაინც ვერ ვუშველე. სულაც არ მახარებს ეს ჩაგდებული 28 ქულა. მერჩივნა, გაცილებით ცოტა მომეგროვებინა და მოგვეგო — გვითხრა ვლადიმერ ბოისამ გუშინ, ლიუბლიანაში რომ შეეხმიანეთ.

— არცთუ ბევრით, 9 ქულით წააგეთ და მოგების შანსი არ გქონიათ?

— არა, თითქმის უშანსოდ ვიყავით. ბოლო წუთებს ეგულისხმობ, თორემ თამაშის განმავლობაში არაერთხელ თანაბრად მივდიოდით და რა მოხდებოდა ბოლოს, არავინ იცოდა. თუმც ბოლო წუთებში „სლოვანმა“ იძალა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

— ახლა გადამწყვეტი მატჩია და უპირატესობას ვის მიანიჭებდი?

— ჩვენი გუნდი ძალიან გადაღლილია, განსაკუთრებით კი მე მიჭირს. ძვეონა, გუშინვე მოვათავეთ საქმეს და მოელი ძალები ამ თამაშს შევალიე. ახლა ისე ვარ გათანგული, რომ სიარული მიჭირს და სრულფასოვნადაც ვერ ვვარჯიშობ.

— მაშ, ხვალ როგორ უნდა ითამაშო?

— რა უნდა მოხდეს, რომ ხვალაც ჩემი მაქსიმუმი არ გავიღო. ესაა სეზონის ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი. „ოლიმპიას“ წლეულს ადრიატიკის ლიგაზე ხელი მოეცარა და სლოვენიის ჩემპიონობა მაინც უნდა მოვიგოთ. თავს მოვიკლავ და მოედანზე არავის მოვერიდები, ოღონდ ეს მატჩი მოგვაგებინა.

— რატომ გაგიჭირდათ ასე ვითომდა უამბიციო „სლოვანის“ დამარცხება?

— „სლოვანმა“ ფინალში გასვლით თავისი პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა და ახლა სრულიად უკომპლექსოდ, ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე თამაშობს. რომც წააგონ, სლოვანელებს ვერავინ უსაყვედურებს და ეს მომენტი მათ ძალიან ეხმარებათ. თანაც პირველად ხდება, რომ ჩვენი გუნდების მატჩში სათადარიგოთა შორის უპირატესობა „სლოვანს“ აქვს. მათ უფრო მეტი თანაბარი გაქანების მოთამაშე ჰყავთ და შეცვლებსაც თამამად აკეთებენ. თუმც ვფიქრობ, გადამწყვეტ მატჩში უპირატესობა ჩვენს მხარესაა. შინაურ დარბაზში ვთამაშობთ და ტრიბუნები გადაჭედილი იქნება ჩვენი ფანებით.

— არ იქნება, მანუჩარ მრკოიშვილზე არ გკითხო. ის უკვე აღარ ხუმრობს და ხანდახან შენზე მეტხანს უწევს თამაში...

— მანუჩარმა მართლაც ძალიან მოუმატა. ადრე თუ მისი მოედანზე ყოფნის ხანგრძლივობა სხვა მოთამაშეთა ტრავმებზე იყო დამოკიდებული, ახლა ყველა ლიდერი მწყობრშია, მაგრამ მარკოიშვილი მაინც საქმეშია. მწვრთნელი ხედავს, რომ ის გუნდისთვის სასარგებლოა და ხანგრძლივად ითამაშებს.

— საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელზე რას იტყვი, იცნობ გორდონ ჰერბერტს?

— პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მისი სამწვრთნელო მიღწევები კარგად ვიცი. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, ჰერბერტი რომ საქართველოს ნაკრებს გაწვრთნის. დარწმუნებული ვარ, ის თავის ფუნქციას წარმატებით გაართმევს თავს

— ერთი მატჩიც და „ოლიმპიასთან“ კონტრაქტი გიმთავრდება. რას აპირებ?

— 80 პროცენტით „ოლიმპიადან“ წასული ვარ, თუმც დარჩენის შანსიც არსებობს. ახლა არ მინდა ჩემს ტრანსფერზე ლაპარაკი, ივლისის დასაწყისში ყველაფერი გადაწყდება.

— თბილისში, ნაკრების შეკრებაზე როდის ჩამოხვალ?

— 12 ივლისს მოვფრინავ და რიცა მეტყვიან, ნაკრების ვარჯიშზეც მაშინ მივალ.

ირაკლი პერტაია

15 ივნის. ველინგტონი

ველინგტონი 6:23 ლომები

ველინგტონი: ჰაკუ, ფაატაუ, ნონუ, ტუიპოლოტუ, კინიკინილაუ; გოპერთი, ვიიჰუ; ვალდრომი, ჰერინგი, ორმსბი, ფილიპო, ედრიუსი, ფიერბრაზერი, მ. შვალგერი, მკდონელი (კაპ)

სათადარიგოები: მაჰოუნი, ჯ. შვალგერი, ტომსონი, ჰარდი, ფლატი, ელისონი, ჯეინი

2 საჯარიმო: გოპერთი

ლომები: ლიუსი, რობინსონი, ოდრისკოლი (კაპ), ჰენსონი, თომასი; უილკინსონი, ფილი; კორი, ბექი, ისტერბი, ქეი, გრივკოკი, ვაითი, ბირნი, ჯენკინსი

სათადარიგოები: ბალოჩი, სტივენსი, ოკონელი, ჰილი, ქუსიტერი, ჯონსი, ჰორგანი

2 ლელო: ჯენკინსი, თომასი; 2 გარდასახვა: უილკინსონი; 3 საჯარიმო: უილკინსონი

ლომების ტურნე 2005

ლომები ლომების წინააღმდეგ

ბრიტანელ-ირლანდელი „ლომები“, რომლებმაც ზელანდიური ტურნეს წინა თამაში ჰამილტონში მაორებთან 19-13 დათმეს, გუშინ ველინგტონს ესტუმრნენ და „ვესთფაქ სთედიუმზე“ ადგილობრივ გუნდს ეთამაშნენ, რომლებიც თავიანთ თავს ასევე ლომებს უწოდებენ.

ევროპელთა სასტარტო შემადგენლობაში როგორც იქნა, ჯონი უილკინსონი გამოჩნდა. ამ მოვლენას მთელი ინგლისი ელოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ალბათ ტრაიბის ბელადმა, კლაივ ვუდვორდმა გაიხარა. სერ ვუდვორდმა მსოფლიოს ჩემპიონატი რომ მოიგო და სამუდამოდ უკვდავყო თავისი სახელი ინგლისური რაგბის ისტორიაში, მნიშვნელოვანწილად სწორედ ჯონის ჯადოფეხის დამსახურება იყო და რა გასაკვირია, ამ მოთამაშის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიები ჰქონდეს.

ზელანდიელმა „ლომებმა“ ევროპელებთან პირველივე ტაიმში პირწმინდად წააგეს თამაში და 40 წუთის შემდეგ ბრიტანელები რომ მხოლოდ 13-6 იგებდნენ, უბრალო უიღბლობის ბრალი იყო.

მთელი თამაშის განმავლობაში ველინგტონი ერთხელ იყო ახლოს ლელოს გატანასთან, თუმც რასაც გამორჩნენ, მხოლოდ პირველ ნახევარში გოპერთის მიერ გატანილი 2 საჯარიმო დარტყმა იყო.

მეორე ტაიმში ბრიტანელმა „ლომებმა“ საკუთარი ჩათვლის მოედანს აღარ გააკარეს მასპინძლები და პირველ 40 წუთში გატანილი ლელოს და 2 საჯარიმოს კიდევ ერთი ლელო და საჯარიმო დარტყმა მიამატეს.

უილკინსონის ანგარიშზე 2 გარდასახვა და 3 ზუსტი საჯარიმოა, რამაც გუნდს 13 ქულა მოუტანა, ლელოები კი ჯენკინსმა და თომასმა გაიტანეს.

არადა, ვუდვორდის ბიჭების მაორებთან წაგებული თამაშის შემდეგ ველინგტონისგან ქომაგი ასეთი მარცხს არ ელოდა, მით უმეტეს, რომ ამ გუნდში ისეთ მორაგბეებს უთამაშიათ, როგორებიც ზელანდიური და მსოფლიო რაგბის ცოცხალი ლეგენდა ჯონა ლომუ და „შავების“ ახლანდელი კაპიტანი ტანა უმაგაა.

ლადო წულუკიძე

როი კინიკინილაუმ ამჯერზე თომასის შეჩერება გარეთ შესძლო

გეთინ ჯენკინსის ლელომ მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა

NBA PLAY OFF 2005 ფინალი

სან ანტონიო 2:1 დეტროიტი

14 ივნისი. დეტროიტი. ობურნ ჰილს პალასი. 22 076 მაყურებელი

ნაოფლარს წყალში ვინ გადაყრის

დეტროიტი 96:79 სან ანტონიო

21:27 20:15 29:23 26:14

დეტროიტი: ბილაფსი (20 ქულა, 7 პასი, 6 მოხსნა), ჰამილტონი (24), პრინსი (12), რ. ვოლესი (7), ბ. ვოლესი (15 ქულა, 11 მოხსნა); მაკდაიერი (12), ჰანტერი (3), არიოო (2), დიუპრე, მილიჩიჩი, ჰემი

სან ანტონიო: პარკერი (21), ჯინობილი (7), ბოუენი (4), დანკანი (14 ქულა, 10 მოხსნა), მუჰამედი (4); ბერი (10), ჰორი (6), ნესტეროვიჩი (2), ბრაუნი (2), რობინსონი, უდრიჰი, მასენბერგი



აპრუწუწუნ, ვერ მოგართვით! არ უთქვამთ, მაგრამ ამგვარი რაღაც კი ალბათ გაიფიქრეს დეტროიტელებმა, როცა შინ პირველივე მატჩი მოუგეს „სან ანტონიოს“ და სერიაში ჩამორჩენა ერთ გამარჯვებამდე შეამცირეს. ეს გუნდი შარშან ჩემპიონად ვინმე უჩინარ გამრიგეს არ დაუსვამს და არც წლეულს მოხვდა ფინალში პროტექციით. იწვალა, იშრომა, იბრძოლა და ახლა წყალში არ გადაყრის თავის ნაოფლარს, თუნდაც „სან ანტონიოს“ ხვდებოდეს და თუნდა „სან დიეგოს“.

მასპინძელთა ცერბერა ცენტრმა ბენ ვოლესმა პირველი წამებიდანვე აგრძნობინა სტუმრებს, რომ სხვის მიწაზე ბრძოლა მოუწევდათ და ყველაფერი ისე არ ჩაივლიდა მათთვის, როგორც სან ანტონიოში.

ბენმა უკვე მეორე წუთზე ჩაჭრა ბურთი, მოედანი გადაირბინა და გრუხუნით ჩაუტენა სტუმრებს. შემდეგ კიდევ რამდენიმე წამში ტიმ დანკანსაც დაუფარა და უკვე პირველ მეოთხედში შვიდ ქულასა და ოთხ მოხსნასთან ერთად 5 დაფარებაც მოუგროვდა, რითაც გაიმეორა ბობ ლენიეს ყველა დროის საკლუბო რეკორდი — 5 დაფარება საპლეიოფო მატჩის ერთ მეოთხედში.

ერთიც სათქმელია, „სან ანტონიოს“ უკვე პირველ წუთზე დაუშავდა მფრინავი მტყორცნელი მანუ ჯინობილი, თუმც არც თუ სერიოზულად — მინიმუმ 29 წუთი მაინც ითამაშა — მაგრამ ეს ის მანუ აღარ გახლდათ, სერიის პირველ და მეორე შეხვედრებში მარტო რომ მიიწევდა ერთდროულად ხუთ დეტროიტელზე.

ამ ყველაფრის მიუხედავად, „სან ანტონიო“ მაინც ყოჩაღად გამოიყურებოდა და პირველი მეოთხედიც სოლიდურად ჩაატარა. 27:21 მოიგო კიდეც, მაგრამ დაიწყო მეორე და მასპინძლებმა კვლავ გაალმასებით შეუტიეს ბენ ვოლესის მეთაურობით.

„ეს სწორედ ის ბენია, რომელსაც ჩვენ ყველანი ვიცნობთ და გვიყვარს. ამ ლიგაში მისი დარი არავინაა. ის საუკეთესოა იმაში, რასაც აკეთებს“ — ზორბა თანაგუნდელს ქება შეასხა „პისტონზის“ გამთამაშებელმა ჩონი ხალაფსმა.

ბენმაც, მეორე ვოლესმაც და ყველა დეტროიტელმა მეორე მეოთხედში ისეთი აგრესიული დაცვა დაახვედრა შეტევაზე გადმოსულ ტიმ დანკანს და მისიანებს, რომ სანანტონიელებმა პირველ ოთხ შეტევაში 3-ჯერ დაკარგეს ბურთი და მეტოქეს იაფად დაუთმეს უპირატესობა. რაც მთავარია, მაღალმა მასპინძლებმა — ბენმა, რაშიდმა და ამათმა შემცვლელმა ანტონიო მაკდაიესმა — ფარქვეშეთში სიცოცხლე გაუმწარეს დანკანს და მისგან წამოსული ქულების წყაროც თითქმის ამოაშრეს.

სტუმრები მაინც არ ტყდებოდნენ, პირველი ტაიმის ბოლო წუთებში 5 ქულით ჩამორჩებოდნენ, როცა მათმა ფორვარდებმა რობერტ ჰორიმ და ბრიუს ბოუენმა თითო სამქულიანი ტყორცნეს და ზედ შესვენების წინ 42:41 დააწინაურეს „სფურზი“. სხვათა შორის, ჰორისთვის ეს სამქულიანი 43-ე გახლდათ ნბა-ს ფინალებში — ეს ხომ მისთვის მეექვსე ფინალია — და მან ერთით გადაასწრო ასევე ექვს ფინალში ნათამაშებ და ექვსივეს მომგებ ლეგენდარულ მაიკლ ჯორდანს, ჰორის წინა ხუთი მოუგია. ვნახოთ, რას იზამს ახლა.

მაგრამ ამ სამიანის შემდეგ ამ ბავშვისახიან მკვლელ სნაიპერსაც უმტყუნა იარაღმა, ჯინობილიც და დანკანიც ვერას ახერხებდნენ და „სფურზმა“ კიდევ ერთი მეოთხედი გაჭირვებით გაუძლო შეტევაზე ლამის ვაშას ძახილით გადმოსულ „პისტონზს“. წინა ორ ჯახში ბრიუს ბოუენისგან ჩაგრულმა „დეტროიტის“ ბომბარდირმა რიკ ჰამილტონმა ერთი მონაკვეთი 10:2 მოაგებინა თავისიანებს და 54:47 დააწინაურა. აქ მოეშვნენ მასპინძლები და „სან ანტონიოს“ საბოლოოდ მისცეს გალიდერების შანსი, რომელიც „სფურზმა“ გამოიყენა, 63:61 გავიდა წინ და მერე დროშა დაბლა დაუშვა. ბოლო შესვენებამდე დარჩენილი ორიოდ წუთში მასპინძლებმა 9:2 იყოჩაღეს და კიდევ უფრო მხნედ შეეგებნენ ბოლო 12-წუთეულს, ვიდრე პირველს, მეორეს ან მესამეს.

განახლდა თუ არა თამაში, შარშანდელი ფინალის უძვირფასესმა მოთამაშემ ჩონსი ბილაფსმა ყველას აჩვენა, რატომაც მოიგო ტიტული და ზედაც ეს პრიზი — ჯერ სამქულიანი დაჭექა, შემდეგ ორიანი ხელებზე გადაატარა ამხელა ტიმ დანკანს და 11:0 გაქცევას დაუდო სათავე. წინააძღეგობის თავი ვის ჰქონდა, სხვაობა შეტევიდან შეტევამდე იზრდებოდა და „სან ანტონიოც“ დანებდა მეტოქეს, პირველად ამ სერიაში.

ფინალის მეოთხე და მეხუთე ჯახებსაც დეტროიტი მასპინძლობს, შესაბამისად 16 და 19 ივნისს.

ძოტე ყორშია



„სან ანტონიოს“ მანუ ჯინობილი დაუშავდა



ანდრე აგასი

წინასაუიმბლდონო ტრავმიანობა

წლევანდელი როლანგაროსობის პირველ წრეში ფინელი იარკო ნიემინენისგან ძლევის შემდეგ 35 წელს მიტანებულმა დიადმა არმენოამერიკელმა ანდრე აგასიმ თავისი ნაადრევი მარცხის მიზეზად ზურგის მტკივანი ნერვი დაასახელა. იქვე დასძინა, იმედია, ეს ამბავი ჩოგანს საუიმბლდონოდ მაინც არ შემიშლისო. უიმბლდონის 1992 წლის ჩემპიონსა და 1999 წლის ფინალისტს ნერვი ისევ უჩმახებს და ამის გამო ლონდონურ სეფეკოინდარზე მის ბრძნულსა და დარბაისლურ გარჯას ვერც წლეულს ვიხილავთ.

ვერც წლეულსო, რომ ვამბობთ, ამით იმის შეხსენება გვსურს, რომ აგასის იქ არც შარშან უბურთავია. წლის უსაკაფოეს ტურნირზე ჩაუსვლელობა მან მაშინ ბარძაყის ტრავმით ახსნა, რამაც რამდენიმე კვირით ადრე, როლანგაროსობაზე წლევანდლის დარად პირველ წრეში წააგებინა.

ერთი სიტყვით, წლევანდელი უიმბლდონით ტკბობა იმ მეჩოგნის გარეშე მოგვიწევს, ვისაც ღია ტურნირთა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე დიდი მუხარადის ექვლაზე მეტ, 58 ტურნირზე უჯობარდია და ვინაც ერთადერთია, ოთხსავე ტურნირზე რომ ნარეკპიონება.

სხვაფრივ — ასევე სხვადასხვა ტრავმის გამო ტურნირზე არ ინაგნავებენ საფრანგეთის ღია პირველობის ოდინდელი ჩემპიონები — არგენტინელი გასტონ გაუდიო, ესპანელები კარლოს მოია და ალბერტ კოსტა. ტრავმების გამოვე თუქმებენ ამერიკელი მარდი ფაში და არგენტინელები ხუან იგნასიო ჩელა და მარიანო საბალეტა.

ქალთაგან კი ყველაზე ‘ხორბა დანაკარგი რეიტინგსიის მეოთხმეტეადგილოსანი ელენა ბოვინა იქნება, ვინაც თვისტომთა ახტავჯანა ლიანგს ჩოგანს მხრის ტრავმის გამო ვერ აუბამს. სანაცვლოდ მდედრიონს მოუბრუნდება მისი შავი დედაზარდლი სერენა უილიამსი, ვისაც იქ 2000-01 წლებში უპირველია, თუმცა ბოლო დროს ჯანობრივად ძილად კომიტეტში ვერ იყო და ამის გამო საფრანგეთის ღია პირველობასაც მოაკლდა.

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
ჩვენს კოლეგას დავით ჭელიძეს მამის
ვახტანგ ჭელიძის
გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
უსამძიმრებს დავით ჭელიძეს მამის
ვახტანგ ჭელიძის
გარდაცვალების გამო

ევროპის ქალთა ჩემპიონატი

კიშინოვი, მოლდოვა. 10-25 ივნისი

IV ტური

ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) — რეგინა პოკორნა (სლოვაკეთი) 1:0
ნინო ხურციძე (საქართველო) — სვეტლანა პეტრენკო (მოლდოვა) 0:5:0,5
მაია ლომინეიშვილი (საქართველო) — ტატიანა კოსტიუკი (უკრაინა) 1,0
თამარ წერეთელი (საქართველო) — ვაჟდა სიდონია (უნგრეთი) 0,5:0,5
ნანა ძაგნიძე (საქართველო) — ნატალია ზდებსკაია (უკრაინა) 1:0
ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) — ადინა-მარია ბოგზა (რუმინეთი) 1:0
ანა მათიაძე (საქართველო) — მონიკა ლუიზ კალცეტა (ესპანეთი) 1:0
ანგელა დრაგომირესკუ (რუმინეთი) — მაკა ფურცელაძე (საქართველო) 0:1
მარინა ლუპიკი (რუსეთი) — სოფიო გვეტაძე (საქართველო) — 0:1

მაია ლომინეიშვილი

ქართველებმა ხუთეულში შეიხედეს

სასიხარულო ამბები მოვიდა კიშინოვიდან. მე-4 ტურში 9 ქართველიდან შვიდმა იბრძოლა და მათგან ორმა — ლელა ჯავახიშვილმა და მაია ლომინეიშვილმა — ლიდერთა ხუთეულში შეაღწია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლომინეიშვილის წარმატება. მან თეთრი ფიგურებით უკრაინელ ტატიანა კოსტიუკს მოუგო და თითქმის იღი საფეხურით წინაა წინ.

ქართველმა მარცხენა ფლანგიდან დიფენზივი მეტოქის რბეცა. მე-4 სვლაზე პაიკით დაწინაურდა და ცენტრში მსუქანი ფიგურებით გამტეხდა. კოსტიუკმ ქართველის იერიშებს იერიშითვე უპასუხა, მარცხნიდან დაარტყა მეტოქეს. მე-19 სვლაზე უკრაინელმა ლაზიერით შეუტია თეორ ელემენტს, თუმც დიდ წინააღმდეგობას გადაწყდა და უკან გაბრუნდა. გაქცეულ მეტოქეს მა�მ ბოლომდე სდია, ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა და 31-ე სვლაზე ქელა მიითვალა.

ორჯერ მეტი სვლა დასჭირდა ჯავახიშვილს პოკორნის გასაგზავნად. დებიუტში სლოვაკი მოჭადრაკე გაექცეოდა, მარცხენა მხრიდან ლაზერ-კეთილ ვაფრი თეორების კენ და თავისაკენ დიდი იერიშისთვის შემზადა მდგომარეობის განსაცხადად ლელამ მარჯვენა მხრიდან კუები გამოიყვანა, სახიფათოდ დაარტყა მტერს და მე-19 სვლაზე ხარისხით დაწინაურდა. პოკორნამ კვლავ იერიშებს მიმართა, მარჯვენა მხრიდან თეორ მეფეს შეუტია ჯავახიშვილი არ დაბნეულა, შავ ლეკონს მთელი თავისი მძიმე ტექნიკა დაუბრისპირა, რამდენიმე ფიგურა მოუკლა სლოვაკს და უპირატესობა შეინარჩუნა. მოჭადრაკეები პაიკების გაყვანას შეუდგნენ. ხარისხით წინ გასულმა ჯავახიშვილმა ადვილად ვატეხა დასუსტებული მეტოქე და 61-ე სვლაზე მესამე გამარჯვება მოიპოვა.

სპეციალისტთა მიზნობა დიმსახურა ხურციძისა და პეტრენკის დაპირისპირებამ. ქართველმა აქტიურად დაიწყო პარტია, ცენტრში პაიკები გაამაგრა და უკან მსუბუქი ფიგურები მიუსვა. პეტრენკომ მარჯვენა მხრიდან განავითარა იერიში. მე-14 სვლაზე თეორებს გამაგრებული კედელი გაურღვია და e4-ე უჯრაზე პაიკით შეიჭრა. მოჭადრაკეები გაცვლებს შეუდგნენ, სადაც კვლავ მოლდაველმა იერმარა და g ხაზზე პაიკის გაყვანას შეუდგა. ბრძოლამ მოიერიშე პაიკის გარშემო გადინაცვლა, ამას კი ფიგურათა დიდი ნაწილი შეეწირა და 51-ე სვლაზე ზავი გამოცხადდა.

ლაშა გეგეჭკორი

ისტორიული დღე ათენში

ათენში მძლეოსანთა გრან-პრის გათამაშების გმირი გახდა ამერიკელი ასაფ პაუელი. მან 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 9,77 წამი.



AFP ათენიდან

შეგახსენებთ, რომ ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ამერიკელ ტიმ მონტგომერის, რომელმაც 2002 წელს პარიზში გამოიჩინა თავი. ასაფ პაუელმა მონტგომერის შედეგი ერთი მეასედით გაუმჯობესა.

თავისი ისტორიული გარბენის შემდეგ პაუელმა, რომელიც ახლა ოფიციალურად ითვლება მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანად, სიამოვნებით დაარიგა ინტერვიუები.

„ეს საუკეთესო დემონსტრირებაა იმისა, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა. განსაკუთრებით ბედნიერი ვარ იმით, რომ შევძელი მსოფლიოს რეკორდი დამემყარებინა იმ სტადიონზე, სადაც 100-მეტრიან დისტანციაზე ერთი რეკორდი უკვე დამყარდა.“

პაუელი იმას გულისხმობდა, რომ 1999 წელს ამერიკელმა მორის გრინმა ათენში ამავე ოლიმპიურ სტადიონზე მთელი 5 მეასედი წამით გაუმჯობესა კანადელი დონოვან ბეილის მსოფლიოს რეკორდი. და აი, სამი წლის მერე პაუელმა თავად მონტგომერის რეკორდი დაამხო.

სულ, მთელი საუკუნის განმავლობაში, რაც 100 მეტრზე მსოფლიოს რეკორდები აღინუსხება, სისწრაფის რეკორდი თითქმის ერთი წამით გაუმჯობესდა.

100-მეტრიან დისტანციაზე პირველი მსოფლიოს რეკორდი ოფიციალურად აღნუსხეს 1912 წელს, როცა ამერიკელმა დონალდ ლიპინკოტმა 10,6 აჩვენა. შემდეგ იყვნენ სხვა რეკორდსმენები, მათ შორის ლეგენდარული ჯესი ოუენსი, რომელმაც თავისი რეკორდი ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე 1936 წელს აღლოფ ჰიტლერისა და სხვა ნაცისტების თვალწინ გაუმჯობესა. 1960 წელს 100 მეტრი გერმანელმა არმინ ჰარიმ ზუსტად 10 წამში გაირბინა. 8 წლის მერე ამერიკელმა ჯიმ ჰაინესმა ისტორიაში პირველმა ეს დისტანცია 10 წამზე სწრაფად გაირბინა — 9,95.

რაც შეეხება პაუელს, მან ჯერ კიდევ ნახევარფინალში გვიჩვენა, რომ მზად იყო რეკორდის დასამხობად. მან ნახევარფინალში 9,98 წამი აჩვენა, რაც ძალზე სერიოზული შედეგია იმის გათვალისწინებით, რომ საჭირო იყო მხოლოდ ოთხეულში მოხვედრა.

ფინალურ გარბენში პაუელმა თითქმის 3 მეტრით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული განელი აზიზ ზაქარი, რომელმაც 9,99 წამი აჩვენა, ხოლო მესამე იყო თავად პაუელის თანამემამულე მაიკლ ფრეიტერი.

მიუხედავად იმისა, რომ პაუელი ძალზე ახალგაზრდა, მხოლოდ 22 წლისაა, მძლეოსნურ სამყაროში ცნობილი სახეა. ეს ძორბენალი შარშან ოლიმპიური ფინალის ერთ-ერთი ფავორიტი იყო, მაგრამ მაშინ მან მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. შემდეგ ასაფ პაუელი 200 მეტრიან დისტანციაზე ფინალში გავიდა. თუმცა, ტრაკმის გამო გადამწყვეტ შეჯიბრებაში სტარტზე ვეღარ დადგა, მაგრამ ის დანაკარგი ამ იამაიკელმა ათენის ოლიმპიურ სტადიონზე მაინც აინაზღაურა, რითაც ისტორიაში შევიდა.

ავთანდილ ბაკვიშელი

პლეიბოის ვარსკვლავმა რინგზეც გაიბრწყინა



მია სენტ ჯონი „პლეიბოის“ ფურცლებზე ერთ დროს ასე პოზიორობდა, ახლა კი მუშტებს იქნევს

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოკრივე ქალი „პლეიბოის“ ყოფილი მოდელი მია სენტ ჯონი თავის რვაწლიან სპორტულ კარიერაში პირველად დაეუფლა ჩემპიონის ქამარს, როცა IFBA-თ ვერსიით ლიზ დრიუს სძლია. მსაჯებმა მის გამარჯვება ერთხმად მიაკუთვნეს.

ეს 38 წლის მოკრივე ჯერ კიდევ წლნახევრის წინათ ამბობდა, რომ კრივიდან წასვლას ვაპირებო, მაგრამ თავისი გადაწყვეტილების აღსრულებას სულაც არ ჩქარობს და უფრო აქტიურად გამოდის, ვიდრე ოდესმე. წლეულს მან უკვე სამი ბრძოლის გამართვა მოასწრო, ხოლო შარშან 11-ჯერ გამოვიდა რინგზე.

მეხდაცემულნი

პანამის პროვინცია კოკლში მეხის დაცემისგან 4 ბეისბოლისტი ქალი დაიღუპა და კიდევ ორი მძიმედ დაშავდა. როგორც ამ ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვის ეროვნული სამსახური იუწყება დაღუპულები 22-28 წლისანი იყვნენ.

ეს ტრაგიკული შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა სოფტბოლისტები ეროვნული ჩემპიონატის მატჩის დაწყებამდე თამაშის სტრატეგიას განიხილავდნენ. მეხი იმ ხეს დაეცა, რომლის ქვეშაც სპორტსმენები იდგნენ.



სამოქალაქო თავდაცვის ეროვნულმა სამსახურმა გაავრცელა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მოსახლეობამ თავი უნდა აარიდოს ღია ცის ქვეშ სპორტში მეცადინეობას, განსაკუთრებით წვიმისა და ქარბუქისას. დოკუმენტით მოსახლეობას იმასაც ახსენებენ, რომ ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანაში წვიმები ცხრა თვის განმავლობაში აპრილიდან დეკემბრამდე გრძელდება.

ფიფას კონფედერაციის თასი 2005
გერმანია. 15–29 ივნისი

AFP ფოტოსურათიდან

ტუნისელებს დაწინაურება შეეძლოთ, მაგრამ იმედ მჰეჯებმა (№7) პენალტი გააცუდა

მტერს ჰქონდეს შენი იმედი, იმედ!

A ჯგუფი. I ტური

არგენტინა 2:1 ტუნისი

1:0 რიკელმე (33ბ), 2:0 სავიოლა (57), 2:1 გვემამდია (72ბ)

არგენტინა: ლუქსი, გ. როდრიგესი, კოლოჩინი, ბაინცე, სორინი (ხ. ძანეტი 79), ბერნარდი, სანტანა, მაქსი როდრიგესი, რიკელმე, სავიოლა (ტევესი 66), გალეტი

მწვრთნელი: ნოსე პეკერმანი

ტუნისი: ფადელი, საიდი, ესედირი, ტრაბელსი (ბაჯ-მასუდი 46), მჰეჯები (სანტოსი 46), გვემამდია (ჯაზირი 78), მნარი, ჩადლი, ჯაიდი, ბენაშური, ბიარი

მწვრთნელი: როჟე ლემერი

გაფრთხილება: გ. როდრიგესი, ტრაბელსი, ლუქსი, ჯაიდი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

45 000 მაყურებელი

კონფედერაციის თასის წლევანდელი გათამაშების პირველი გოლი არგენტინელმა ხუან რომან რიკელმემ გაიტანა. ესპანური „ვილიარეალის" შემტევმა ნახევარმცველმა მატჩის 33-ე წუთზე იხეირა და თავისიანები დააწინაურა. ტუნისელთათვის გოლის გატანის შანსი კი რიკელმეს პენალტით მიეცა, რომელიც იტალიელმა არბიტრმა რობერტო როზეტიმ ერთობ საეჭვო ვითარებაში დანიშნა — აფრიკელთა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთისთვის მაქსი როდრიგესმა და ტუნისელთა კაპიტანმა ჰატემ ტრაბელსიმ გაიბრძოლეს, ჯაჯგურში როდრიგესი დაეცა და... ზემოთაც ვთქვით, რიკელმემ გასატანი გაიტანა. არადა, ამ გოლამდე 20 წუთით ადრე ტუნისელთა ნახევარმცველ იმედ მჰეჯებს თანაგუნდელთა იმედი რომ არ გაეცრუებინა, აფრიკელები დაწინაურდებოდნენ. ფრანგული „ნანტის" მოთამაშე ისეთი ზლაზვნითა და მანჭვა-გრეხით დაიძრა თერთმეტი მეტრიდან ბურთის დასარტყმელად, რომ ძნელი გამოსაცნობი არ იყო, არგენტინელთა სათადარიგო მეკარე ხერმან ლუქსი უსაქმოდ დარჩებოდა. ერთი სიტყვით, მჰეჯებმა პენალტი გააცუდა და მანამდე რიგიანად მოთამაშე ტუნისელებს ხასიათი და სათამაშო სქემა წაუხდინ-აურია.

ნირწამხდარ აფრიკელებს კი სათადარიგო შემადგენლობით მოთამაშე არგენტინის ნაკრებმა ნება-ნება შეუტია და რიკელმეს გოლამდე და მის მერეც ფადელის კართან ბევრი მომენტი შექმნა. ხავიერ სავიოლასა და ხუან პაბლო სორინის რომ ევარგათ, სამხრეთამერიკელებს, ვინძლო, საქმე პირველ ტაიმშივე მოეთავებინათ.

რაც პირველ ნახევარში ვერ შეძლო, მეორეში მოახერხა სავიოლამ, 57-ე წუთზე გაიტანა და არგენტინის პირველი საკონფედერაციო გამარჯვება საეჭვო აღარ გახადა. ხოლო პენალტის გატანა ტუნისელებსაც რომ შეუძლიათ, ჰეიკელ გვემამდიამ დაამტკიცა — 71-ე წუთზე პენალტუხვი როზეტის სასტვენის მერე ხერმან ლუქსს შანსი არ დაუტოვა.

სოსო კოტორაშვილი

გოლების ნვიმა, შეტევის აღლუმი

გერმანია 4:3 ავსტრალია

1:0 კურანი (17), 1:1 სკოკო (21), 2:1 მერტესაკერი (23), 2:2 ალოიზი (31), 3:2 ბალაკი (60ბ), 4:2 პოდოლსკი (88), 4:3 ალოიზი (90)

გერმანია: კანი, ფრიდრიხი, ბუთი, მერტესაკერი, ბიცლშპერგერი, შნაიდერი (დაისლერი 76), ფრინგსი, შვაინსტაიგერი (ერნსტი 83), ბალაკი, კურანი (ასამოა 68), პოდოლსკი

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

ავსტრალია: შვარცერი, მუსკატი, მური, ნაილი, პოპოვიჩი (მაკკეინი 57), მილიჩევიჩი, ემერტონი, სკოკო, ჩეპილი (კულინა 74), ჩიპერფილდი (ტომპსონი 83), ალოიზი

მწვრთნელი: ფრენკ ფარინა

გაფრთხილება: ბუთი, მილიჩევიჩი, შვაინსტაიგერი, ფრიდრიხი, ბალაკი

მსაჯი: კარლოს ამარილია (ურუგვაი)

48 000 მაყურებელი

ფრანკფურტის „ვალდშტადიონზე" გამართულ შეხვედრაში მეტოქეებმა კარში დამიზნებით ათჯერ დაარტყეს და აქედან შვიდი ბადეში შევარდა. ეს მონაცემები ცალკე გერმანელთათვის და ცალკე ავსტრალიელთათვის ასეთია: გერმანელთა შვიდი დარტყმულიდან ოთხი იყო გოლი, ხოლო ავსტრალიელებს ასპროცენტიანი შედეგი გამოუვიდათ — სამიდან სამი. რაც შეეხება აცილებულ დარტყმებს, აქ მასპინძლებმა 13:7 მოიგეს.

და ერთი სახალისო ამბავიც — 32-ე წუთისთვის, დამიზნებითი დარტყმების ანგარიში ნაღდ ანგარიშს ემთხვეოდა, 2:1 იყო.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრა შემტევ ფეხბურთს მიეძღვნა. ანგარიში კევინ კურანიმ გახსნა, როდესაც პოდოლსკიმ დაწყებულ კომბინაციას ფრიდრიხმა ფინიში მიაყოლა, ხოლო ამ დარტყმას კურანიმ ფეხი წააშველა და მიმართულება შეუცვალა.

ოთხ წუთში ოზებმა გაათანაბრეს ჩაფარბილი იოსიპ სკოკომ დაარტყა. ბურთი დიდი წყალდა და ამხტარ კედელს ფეხებქვეშ გაეძურა.

და გოლს ისევ გოლი მოჰყვა: კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ავსტრალიელმა მეკარემ შნაიდერისკენ ამოახლიტა, მის დარტყმულს კი პერ მერტესაკერი მიეშველა, მაგრამ ალოიზიმ ტაიმი მაინც თანაბრად დაამთავრა.

მეორე ნახევარში გოლების წვიმა არ შეწყვეტილა. ჯერ იყო და გერმანელთა კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა პენალტით დააწინაურა შეჯიბრების მასპინძლები, შემდეგ დაისლერის დაწყებული კომბინაცია ასამოამ ეფექტური პასით გაუგრძელა იმავე ბალაკს, ხოლო მისი გადაწოდებული პოდოლსკიმ კარში შეაგდო და ბოლოს ავსტრალიელებმა მოახერხეს ანგარიშის თავიანთ სასიკეთოდ გადასხვაფერება — მეორე გოლის ავტორმა ალოიზიმ მეკარის წინიდან დაჭრა მოახერხა.

საინტერესოა, რომ გერმანელთა მასპინძლობის მიუხედავად, ავსტრალიელებმა მეტი კუთხური მოაწოდეს: ამ მხრივ ანგარიში ათ სასარგებლოდ იყო 6:3, თუმცა ბურთის ფლობა უფრო მეტად მასპინძლები ფლობდნენ, ეს მაჩვენებელში გერმანიამ 51:49 მოიგო.

პაპუნა კედია

AFP ფოტოსურათიდან

იოსიპ სკოკოს (№8) ავსტრალიამ ბასტიან შვაინსტაიგერის გერმანიასთან ვერაფერი გააწყო

მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი
ვიეტნამი. 10 ივნისი – 2 ივლისი

A ჯგუფი. II ტური
იაპონია 1:1 გინეა
ავსტრალია 0:3 პოლანდია

B ჯგუფი. II ტური
კანადა 0:2 კოლუმბია
იტალია 1:2 სირია

F ჯგუფი. II ტური
შვეიცარია 0:1 ბრაზილია
ნიგერია 1:2 სამხრეთ კორეა

სლოვაკეთი
I ლიგა
XXXVI ტური
ბანსკა ბისტრიცა 2:1 რუძომბეროკი
პეტრჟალკა 6:1 ტრინჩინი
სობოტა 3:3 პუხოვი
ტრნავა 1:0 დუბნიცა
ჟილინა 7:3 ინტერი

ინგლისი
პრემიერლიგა
ბოლოდროინდელი VI ტური
აკრანესი 1:2 კეფლავიკი
ფულჰემი 0:1 პაფნარფიორდური

შვედეთი
ალსვენსკა X ტური
გეფლე 1:2 ოლფსბორგი
ჰალმსტადი 1:0 ჰეკენი
ჰამარბი 0:0 იორგრიტე

რუსეთი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
ცსკა 1:0 სატურნი
ლოკომოტივი 0:0 ზენიტი

ესპანეთი
ბასკეთის ნაციონალური ჩემპიონატი
ბილბაო 3:1 ტენერიფე
ესპანიოლი 1:0 ალბაკეტი
ბარსელონა 1:0 ალმერია
ალბაკეტი 1:1 ბარსელონა
ალმერია 1:1 ესპანიოლი
ტენერიფე 1:1 ბილბაო

ბელგია
ბელგიის ნაციონალური ჩემპიონატი
ბანბერგენ 3:1 ბეფენ
ბრიუგეი 1:1 ანდერლეხტი
ანტვერპენ 1:1 ბანბერგენ
ბეფენ 1:1 ბრიუგეი
ანდერლეხტი 1:1 ანტვერპენ

ინგლისი
ბოლოდროინდელი მატჩები
ბოლტონ 1:1 ბლეკბერნ
ბოლტონ 1:1 ბლეკბერნ
ბლეკბერნ 1:1 ბოლტონ

ინგლისი
ინგლისის ფინალი
ჩემპიონთა ბატალი
ინტერი 1:0 რომა (2:0)

ავსტრალია
ეროვნული ჩემპიონატი
ბანკსტაუნ 1:1 ადელაიდა
ბანკსტაუნ 1:1 ადელაიდა
ადელაიდა 1:1 ბანკსტაუნ

ნორვეგია
თასის ფინალური
ალესუნდი 3:1 ჰიოდი
ალტა 2:1(დ.დ.(1:1) ტრომსიო
ბოდიო გლიმტი 4:3(დ.დ.(3:3) სტრინდჰეიმი
ბრინი 5:1 ტონსბერგი
ბიასენი 1:8 როსენბორგი
ფრედრიქსტადი 2:0 სანდეფიორდი
ჰიონეფოსი 2:1 ლინი
ლილესტრიომი 5:3(დ.დ.(3:3) ფოსი
ფიულდი 3:2 ნიგერბესუნდი
ოდ ბრენლანდი 1:0 პორს ბრენლანდი
სოგნდალი 0:1 ჰაფ კანი
სტარტი 2:1 ფანდალი
სტრიომსგოდსეტი 0:1 სტაბეკი
ფოლერენგა 7:0 ოსლო იოსტი

დანია
სუპერლიგა. XXXII ტური
ოლბორგი 1:1 კოპენჰაგენი
ორჰუსი 1:2 ბრონდბიუ
ესბიერგი 0:0 ფიდტულანდი
ნორდსიელანდი 2:3 სილკებორგი
ჰერფიოლზე 2:3 ოდენსე
ვიბორგი 2:1 რანდერსი

ფინეთი
ვეიკაუსლიგა
IX ტური
ჰიკ 1:0 ჰაკა
კტპ 3:1 ფარიეჰამნი
კუოპიო 0:3 ინტერი
ტამპერე 3:3 როვანიემი
ტპ-47 0:0 იარო
ტურკუ 0:1 ლაჰტი

ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005
ნახევარფინალი
გერმანია 4:1 ფინეთი



ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ანა კურნიკოვა, მგონი, ჩოგბურთელია. სანქელი, კი მარადაც გავარდნილი აქვს. ახლაც, ვალენსიას ჩასულა, სადაც განთქმული ზღვაოსნები ამერიკის თასისთვის ემზადებიან. ანა ახალზელანდიურ გუნდთან დამეგობრებულა და მათ ავსტრალიელ შეიპერ დინ ბარკერთანაც უოხუნჯია.

AFP ფოტოსურათიდან

ᲩᲔᲠᲘ ᲓᲐᲐ

რიხარდ კრაიჩეკი უკვე საჩოგბურთო მოხუცია. 9 წლის წინათ უიმბლდონის მოგებულ ჰოლანდიელს ახლა ასპარეზზე თავისი 16 წლის და მიკაელა გამოჰყავს, ვისთან ერთადაც შერეულ წყვილებში თამაშობს ერთ-ერთ ჰოლანდიურ ტურნირზე.



AFP ფოტოსურათიდან

Fly Emirates

Ⓚ(Ⓜ)Ⓤ(Ⓢ)ᲡᲢᲣ(Ⓖ)ᲠᲘᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲔᲒᲝ

სერბეთის პრემიერი ვოისლავ კოშტუნიცა, დიდი ბოსნიელი რეჟისორი ემირ კუსტურიცა, შუაში კი დიეგო. მარადონა ერთი დღით ჩავიდა ბელგრადში, რათა ემირ კუსტურიცას შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში მიიღოს მონაწილეობა.



AFP ბელგრადიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

გამომცემელი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲩᲔᲓᲚᲘᲫᲔ
მთავარი რედაქტორი ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲖᲠᲘᲐᲣᲚᲘ
პასუხისმგებელი რედაქტორი ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲗᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კაბა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კიტორჯიშვილი, ლადო ხოშერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ ბალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელეუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ᲮᲣᲠᲐᲑ ᲬᲘᲠᲔᲗᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ http://www.sarbieli.com.ge